



# ილორი



№ 20 (89) 23 ივნისი 2009 სანჯალხო მოკრატვა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

## რედაქტორის გვერდი 2

მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც რიხიანად დაიწყებს ომს, ისტორიულად ქართულ და ქართველების მიერ აშენებულ ქალაქ ცხინვალს დაბომბავს, ორ დღეში კაპიტულაციას გამოაცხადებს და მოწინააღმდეგეს უბრძოლველად ჩააბარებს ტერიტორიებს, რომელიც დეზერტირობაში დასდებს ბრალს უმეთაურებოდ დატოვებულ ქართველ ჯარისკაცებს, თვითონ კი ყუმბარის აფეთქებისთანავე უპატრონოდ დააგდებს უცხოელ მაღალ სტუმარს და ორმოში დურთავს თავს!


მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ზღუდავს თავისუფალ სიტყვას, არბევს ტელეარხებსა და რედაქციებს, უპირველესად ზრუნავს რეპრესიული სადამსჯელო აპარატის გაძლიერებაზე, ქვეყანას კი პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუგდებს საჯიჯგნად, და რომელიც ოფიციალური კანონის მიღებითაც კი წაახალისებს დაბეზღების ინსტიტუტს!

მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ყოველნაირად არიდებს თავს აბუნტებულ ასიათასობით ადამიანთან დიალოგს, ეშინია თბილისში შემოსვლის და ისე დასეირნობს სახელმწიფოდან სახელმწიფოში, რომ თითქოს სილატაკესა და გასაჭირში მყოფი თანამოქალაქეების პროტესტი მას არ ეხებოდეს!

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ბატონი კლიმენტი შელია პასუხს გასცემს ყველასათვის საინტერესო შეკითხვას იმის თაობაზე, თუ ვინ, სად, როდის და რატომ დაამკვიდრა მცნება "ქართველი".

## მაფალუ 8

სხვა ავტორი ლაზებს განიხილავს როგორც თურქეთის გარკვეული ტერიტორიის "დამოუკიდებელ რასას". აღნიშნული პუბლიკაციიდან ჩანს, რომ თურქეთში მძლავრობენ პანთურქული, ანტიქართული აზრის რესტავრაციისა და კოლხურ-ქართული ტომებისაგან ლაზების გაუცხოების მსურველი ავტორები.



**სსოვნის სტრიქონები**  
 ნაწევრებზე მებრუნ ენაზე შემჩნეილი ისტორიული პოეზიიდან "გულა-თია", რომლის ავტორი ბახლავთი თავდადებული მამულიწვეილი და შემხარბიტი პოეზიი დანიელ კავლეს კმ ფიფია, ბთავაზობთ ბაზით "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შემოიჭრა პოლიტიკურმა უამინდობამ - საშრობლოს სიყვარულით გამსვალული გულანთეული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის ბაზო, რომ საპარტივლოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის საზაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პრეპარანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

**ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4**

**პარიზული დღიურები 10**

**ისტორიული მასალები**  
**სამეგრელოს 5**  
**საამაყო შვილები**  
 იპოლიტე ვართაგავა  
 ანზორ შონია

**11**  
**ელეარდ ვეპარდნაქა ნიღბით და უნიღბოდ**

**12**  
 ბაზათი "ილორი" აშვემებს წერილების ციკლს, რომელიც ასახავს უზუბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

**9**  
 კორნელი ბორთსდინი  
**სამეგრელო და სვანეთი**  
 1854-1861

**6**  
**ამის დაპარბვის. ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!**

ნაწევრები ვ-ველიკოს წიგნიდან "გაშვასია"

# როგორი პრეზიდენტი მინდა ჰყავდეს ჩემს სამშობლოს

## რედაქტორის პასუხი

უპირველესად ჰკვირავთ, შემდეგ კი პატიოსანი, ეს თვისებები კი საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანი იყოს თავისი სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი და მშობლიური ერისადმი ფანატიური სიყვარულით გამსჭვალული.

მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომლისთვისაც უცხო არ იქნება ყოველი ამქვეყნიური, მაგრამ იქნება უადრესად თავშეკავებული, ზრდილი, შინაგანი ქართული კულტურით გაჯერებული, რომელიც, ჩერჩილის თქმისა არ იყოს, **“თავისი მდივნის ბაყვებზე არ გაცვლის სახელმწიფო ღირებულებებს”**, არ წამოიწვევს ასეუღმისიონობით დოლარის ღირებულების სასახლის მშენებლობას, და რაც მთავარია, უცხოეთიდან საკუთარი თვითმფრინავით არ წამოიყვანს ღამაზ მასაჟისტ ქალბატონს მაშინ, როცა ქვეყანა სიდატაკეში ღაფავს სულს და ღამის მიწასთან არის გასწორებული.

ინგლისელი მწერალი **ჯონათან სვიფტი** ამბობდა: **“როდესაც ქვეყნად ჭეშმარიტი გენოსი ჩნდება, მისი ამოცნობა თუნდაც იმის მიხედვით შეიძლება, რომ ყველა გონებაჩაღუნგი მის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანდება ხოლმე”**.

ჩვენ ამის უამრავი მწარე მაგალითი გაგვანია, როცა ერთი კეთილსინდისიერი პოლიტიკოსის წინააღმდეგ ერთნაირი მონღოებოვანი ადმსდავარა როგორც პოზიცია, ასევე ოპოზიცია.

მე კი არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელსაც წინ აღუდგება მთელი კონიერი და ღამაზი საქართველო, ხოლო პოლიტიკურად გაშიშვლებული პრეზიდენტის ზრახვებს დაიცავენ მხოლოდ ავი მიზნებით გაერთიანებული ბიოლოგიურად მახინჯი და გონებაჩაღუნგი ადამიანები.

არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის გარედან იმართება და მართობისა სხვათა ხელში.

ახლა კი, მოდით, თუმა დავაკონკრეტოთ: ჩვენ მაინც სააკაშვილის მხარდაჭერი კამპანიის ნაწილი გვგონია ის, რაც 2009 წლის 14 მაისს ქალაქ სოჭიში გამართულ რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კონგრესზე მოხდა. სრულიად უწყინარ სიტუაციაში ტრიბუნაზე აიჭრა ფანტომასის გარეგნობის მქონე ვიდაც ქართველი ბიზნესმენი, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში პეტერბურგში მცხოვრები ებრაელი და რიხიანად განაცხადა, რომ საქართველოს გასაჭირისაგან ჩემს მეტი ვერაფერს დაიხსინის და ამიტომ, გადავწყვიტე საქართველოს პრეზიდენტად ვიყარე კვიტი. მინდა ვთხოვო სააკაშვილს, რომ საქართველოს მოქალაქეობა აღმიდგინოს.

იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილის ბიძა, უშიშროების სამსახურის გენერალი ალასანია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს რუსეთის პოლიტიკურ და საქმიან წრეებში, გამორიცხული არ არის, რომ მთელი ეს **“სოჭური”** პასაჟი სააკაშვილის გადასარჩენი სპექტაკლის ერთ-ერთი აქტი იყოს.

მოკლედ, ერთხელ კიდევ გაისმა ხალხის პროტესტისაგან უადრესად შევიწროებული მიხეილ სააკაშვილის როყო შეძახილი: **“რუსი მოდის!”**, რაც დაახლოებით ასე უღერს: **“თუ მე პრეზიდენტობიდან გადამაგდებთ, რუსები თავის კაცს დასვავენ საქართველოს პრეზიდენტად და მერე ნახეთ, რაც მოგივათ”!**

მაგრამ, კარგად თუ დავფიქრებთ, რუსები, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში სიკეთეც ბევრი მიამაღდეს საქართველოს და უკეთურობაც, იმაზე მეტად რას უმტრობენ ჩვენს სამშობლოს, როგორც მას სააკაშვილმა და მისმა ზნედაცემულმა გარემოცვამ უმტრეს.

მოდით, ებრაელიც დაუბრუნდეთ. რუსი ჟურნალისტის შეგნკოს სიტყვებით თუ ვიტყვით, **“ებრაელების პრეზიდენტად არჩევა იმიტომ გადაარჩენს საქართველოს, რომ მას ბევრი ფული აქვს, და რაც მთავარია, ვლადიმერ პუტინთან მეგობრობს”!**

მართლაც რომ **“რკინისბუნი”** არგუმენტი! მაგრამ სისულელეა, რადგან პუტინი ის კაცი არ გახლავთ, რომ ბაზრის მესვეურთან იმეგობროს. საკითხავი მხოლოდ ის არის: ვინ შესცვლის საქართველოს კონსტიტუციას ებრაელითსათვის, რომელსაც თუნდაც იმიტომ არა აქვს საქართველოს პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება, რადგან უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოში არ უცხოვრობა? თუმცა, იმის ფონზე, რომ საქართველოში ნებისმიერი ხელისუფალი თავის ჭკუაზე ატრიალებს კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსს, ამ ბარიერის გადალახვა არც ებრაელიც უნდა გაუჭირდეს.

მაგრამ, ებრაელითს საყურადღებოდ ვამბობთ – ფული ახლა არც ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოსულ სააკაშვილს აკლია (სად და როდის იშოვა, ეს მის საიდუმლოდ დარჩეს), ხოლო, რაც შეეხება რუსეთის მაღალ სახელისუფლებო წრეებთან მეგობრობას, სააკაშვილი მათი **“გობის მოხარვე”** რომ არ იყოს, მაშინ მათ არ ჩაუგდება ხელში საქართველოს ენერგეტიკულ რესურსებს და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებს, და რაც მთავარია, თავისი, ვითომ უაზრო, სინამდვილეში კი, წინასწარგათვლილი ავანტურისტული ქმედებით, **“დე იურედ”** არ გადაუფორმებდა სეპარატისტებს შევარდნაძის ასევე ავანტურისტული ქმედებების მიზნით სადავოდ ქცეულ ისტორიულად ქართულ ტერიტორიებს.

ასე რომ, სააკაშვილი ნამდვილად უნდა გადაშენდეს საქართველოს ხელისუფლებიდან, მაგრამ, ვინ იქნება მისი შემცვლელი, ეს უკვე ქართველმა ერმა უნდა გადაწყვიტოს და არა არამად ნაშოვნი ფულით ჯიბეგამოტენილმა, გადამთიელეზად ქცეულმა **“ქართველყოფილებმა”**.

მათ ხომ, ნამდვილად, ისევე **“სომეხადყოფილი”** მიხეილ სააკაშვილი (მიხეილ სააკაშვილის შვილის შვილი) სჯობია!

თუმცა, მე არ მინდა, რომ მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც წინააღმდეგობას მკვლევებს (თუნდაც ისინი პოლიციელები იყვნენ), რომელიც დაუნგრევს ადამიანებს სახლებს, სხვაგვარადმოაზროვნეებს წაართმევს ბიზნესს, დაარბევს ოპოზიციურად განწყობილ ტელეარხებს, გზას ჩაუკეტავს თავისუფალ სიტყვას და ქვეყნისა და ხალხის საძირკვლავ იგივე გზას გაუხსნის მას მიტმასნილ არამზადებს და სათანადო რეაგირებას არ მოახდენს ოპოზიციურ ტელეარხს **“მაესტროს”** კარებთან ფრიად საეჭვო ვითარებაში ხელეშობარის აფეთქების გამო.

ახლა, რაც შეეხებათ რუსებს, მათ აშკარად არ აძლევთ ხელს სააკაშვილის წახვლა (სხვათა შორის, შეგარდნამდე გვარწმუნებდა – რუსები ჩვენი დაუძინებელი მტრები არიანო, მაგრამ, მის შვილის შვილ სოფოს დღეს მოსკოვის ერთ-ერთ ტელეარხზე საკმაოდ დიდი თანამდებობა უკავია. არა და, როდის იყო, რომ ადამიანი მტრის ხახაში აგდებდა საკუთარ ახლობლებს. როგორც ჩანს, არც სააკაშვილს აძლევს ხელს რუსი და ქართველი ხალხის თანადგომა, თორემ ამდენ რამეს არ **“ჩააბარებდა”** რუსებს). რუსეთს სწორედ ასეთი პრეზიდენტი უნდა საქართველოსთვის: დამარცხებული და შერცხვნილი, რომელსაც არაფერს ვლადარაკება. ამიტომაც ჩადის სააკაშვილი დაუპატიებლად მიუნქენში, ძალიან მნიშვნელოვან სამიტზე და მას დარბაზში არ უშვებენ, ასევე დაუპატიებლად ჩადის ბრიუსელის სამიტზე, სადაც სიტყვას არ აძლევენ, მაშინ, როცა იქ ალასანია გამოვიდა სიტყვით. შემდეგ ასევე დაუპატიებლად ჩადის ბარსელონაში, სადაც სახელმწიფოს მეთაურს პროტოკოლით ესპანეთის მეფე უნდა დახვედროდა, მას კი – ბარსელონას მერი რა არის, უბრალო ჩინოვნიკიც არ დახვედრია. ამიტომაც, ბოლოს სააკაშვილი ბარსელონას სტადიონზე გავიდა და ბურთით წაითამაშა. ახლა მთელმა ესპანეთმა იცის, რომ მათთან ჩავიდა საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც არაფერს დაელოდა, რადგან

სტადიონზე და ბურთი რამდენჯერმე აკენწლა, და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ **“ბარსელონას მოედანზე ბურთის გაგორებით, ბაეშვილის ოცნება აიხდინა”**. ვერ გამოვიდა, რა იყო ეს – ცული მასპინძლობით განაწყენებული კერძო პირის პროტესტი თუ სახელმწიფოს მეთაურის უადრესად არაკორექტული საქციელი, რომელიც უპირველესად საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ავტორიტეტს აყენებს ჩრდილს.

არ მინდა მყავდეს ასეთი პრეზიდენტი! მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც რიხიანად დაიწყებს ომს, ისტორიულად ქართულ და ქართველების მიერ აშენებულ ქალაქ ცხინვალს დაბომბავს, ორ დღეში კაპიტულაციას გამოაცხადებს და მოწინააღმდეგეს უბრძოლველად ჩააბარებს ტერიტორიებს, რომელიც დეზერტირობაში დასდებს ბრალს უმეთაურებოდ დატოვებულ ქართველ ჯარისკაცებს, თვითონ კი ყუმბარის აფეთქებისთანავე უპატრონოდ დააგდებს უცხოელ მაღალ სტუმარს და ორმოში დურთავს თავს!

მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც, მის მიერვე გამოცხადებული ომის შედეგად შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფად გარკვევისა და კონტროლების მიღების ნაცვლად, ანერვიულებული, საკუთარი პალსტუხის დეჭკას შეუდგება!

მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ფარულად მეგობრულ კავშირებს გააბამს რუსეთის საქმიან და პოლიტიკურ წრეებთან, ლეგალური საქმიანობით კი მტრად გადაკიდებს ერთმანეთს რუს და ქართველ ხალხს და დააშორებს მათ ერთმანეთისაგან!

მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც მიუხედავად სამხედრო, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში განცდილი დიდი კრახისა, მაინც გადაწყვეტს დამოუკიდებლობის დღეს სახიშო აღლუმის ჩატარებას, მაგრამ შემდეგ ლანჩულად გადათქვამს ოპოზიციისა და ხალხის გულმწიფრომის შიშით!

მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ზღუდავს თავისუფალ სიტყვას, არბევს ტელეარხებსა და რედაქციებს, უპირველესად ზრუნავს რეპრესიული სადამსჯელი აპარატის გაძლიერებაზე, ქვეყანას კი პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუგდებს საჯიჯგანად, და რომელიც ოფიციალური კანონის მიღებითაც კი წახალისებს დაბეზღების ინსტიტუტს!

მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ყოველნაირად არიდებს თავს აბუნტებულ ოპოზიციასა და მის მხარდამჭერ ასიათასობით ადამიანთან დილოგს, ეშინია თბილისში შემოსვლის და ისე დასეირნობს სახელმწიფოდან სახელმწიფოში, რომ თითქოს სიდატაკესა და გასაჭირში მყოფი თანამოქალაქეების პროტესტი მას არ ეხებოდეს!

მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ობიექტურ რეაგირებას არ მისცემს იმ ფაქტს, რომ მისი ერთ-ერთი მინისტრის მეუღლის ბორტო ნებით მოკლავენ ახალგაზრდა ადამიანს, და ხმას არ ამოიღებს იმ უმსგავსეობაზე, რომ ამ მკვლევებს სასათბურე პირობებს შეუქმნიან საპატიმროში. უფრო მეტიც, ჩაიდენს გაუგონარ საზიზღრობას, როცა სპეციალური დადგენილებით გაუნახევრებს ამ მკვლევებს სასჯელის ვადას, ხოლო მკვლელობის ორგანიზატორებს პირობითად გადააყენებს თანამდებობებიდან, რეალურად კი იგივე სამსახურის მართვის ბერკეტებს დაუტოვებს!

მართლაც სულელი უნდა იყო ადამიანი, რომ დგროს – შენი უზურაციის ვადა არასოდეს არ ამოიწურება და მაღალი სკამიდან გადმოცურების შემდეგ პასუსს არაფერს მოგთხოვს შენს მიერ ჩადენილ უამრავ დანაშაულებრივ ქმედებებზე.

ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ შეგარდნამე ძალიან კარგად იცოდა, თუ როგორი ადამიანისათვის არ უნდა ჩაებარებინა ხელისუფლება, მაგრამ იმდენად ეპიზოდულად ქართველი ხალხი, რომ ასეთ

უბედურებაში გახვია იგი!

რატომ ეპიზოდულად? მან იცოდა, რომ ქართველმა ერმა ზურგი შეაქცია და აღარ აირნია პრეზიდენტად! სწორედ ამიტომ ეპიზოდულად ქართველი ხალხი მიხეილ სააკაშვილსაც, რომელმაც ძალიან კარგად იცის უკანასკნელი საქრეზიდენტო არჩევნების შედეგები, სადაც მან ხმების მინიმუმი მიიღო. ამ ვტვს თუნდაც ის ადასტურებს, რომ მის მონა-მორნილ პარლამენტს მიადებინა დადგენილება, რომლის ძალითაც არჩევნების შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შენახვა არ არის სავალდებულო და იგი განადგურებას ექვემდებარება. სწორედ ამიტომ, მე არ მინდა მყავდეს პრეზიდენტი, რომელიც კანონის ფეხქვეშ უხეშად გათვლით გააყალბებს არჩევნებს და ამ გზით მოახდენს ხელისუფლების უზურპირებას!

მოკლედ, საქართველოს ჰყავს ისეთი პრეზიდენტი რომელიც თითქმის მთელ საქართველოს არ უნდა, რომ ჰყავდეს!

**რედაქციის კომენტარი – თუ აგრერი-გად გვსურს საქართველოს პრეზიდენტად ღირსეული კანდიდატურის შერჩევა, ისინი იმ ხალხს შორის უნდა ვეძებოთ, რომელთაც ხელეწიფებით, რუსეთთან, აფხაზებსა და ოსებთან ჩატეხილი ხიდების აღდგენა, და, ამავე დროს, არც ამერიკელებთან გაამწვავებენ ურთიერთობას.**

**“ციტატა-შეხსენება**  
**...მთავარი დესტრუქციული მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ისევ არ არსებობს მკვირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფცია, ქართული სახელმწიფოს არსებობის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების საზოგადოების მიერ სალი ბაბუა. არ არსებობს ინტეგრაციული მოდელი, რომელიც შესაძლებლად შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობის კრედიტის ამოწურვა. მოსახლეობა აბსოლუტურად არ ენდობს ხელისუფლებას და ამას შეიძლება ტრაგიკული შედეგი მოჰყვას. ხელისუფლებას დღემდე არ უხმის, რომ არ შეიძლება ხალხის მუდმივად მოტყუება... სჯობს კატარა კვრა შეჰპირდე და დათქმულ ვადაში შეასრულო, ვიდრე ოძროს კოშკებს დაჰპირდე და არაფერი გააკეთო...  
ალექსანდრე ჭაჭია,  
1998 წლის სექტემბერი”.**

# ღია წერილი გიორგი თარგამაძეს



გაზეთ "ქრონიკის" 2008 წლის 3-9 ნოემბერს, მოგმართეთ ხელისუფლების მიერ "შეკოწიწებული" ოპოზიციას, წერილით "ჩვენ, 80 წელს მიღწეულ მოხუცებს, გვაქვს უფლება და მოვალეობა ვართ, გითხროთ სიმართლე პირდაპირ, დაურიღებოდა, რაც არ უნდა მწარე იყოს ის".

ბატონო გიორგი, ადამიანი იმ-იტომ არის ადამიანი, რომ იგი არც უცოდველი შეიძლება იყოს, და არც შეუმცდარი. წერილში ვწერდით თქვენს დანაშაულზე ქვეყნისა და ერის წინაშე ზეფიქრობდით, ამის შემდეგ დასკვნებს გააკეთებდით და გარდატეხა მოხდებოდა თქვენს ცნობიერებაში და ყველაფერს მოინანიებდით. ინტერვიუდან სხანს, რომ ეს სრულებით არ გაწუხებთ. "ქრისტინან-დემოკრატიკა" თვის მოვალეობა მივიჩნევთ გიბრძოლოთ საპარლამენტო რესპუბლიკისათვის და ადამიანის ღირსების დასაცავად, რომ ღირსეულად ცხოვრების საშუალება ჰქონდეს ყველა მოქალაქეს, რათა კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს სოციალური სტატუსისა და მდგომარეობის მიუხედავად". თქვენ ისე ამბობთ, თითქმის ანგელოზის ფრთები გასხივით და დღევანდამ ქვეყნის ბედ-იბედზე მოფიქრალ კაცად წარმოგვიდგინეთ თავს. მაგრამ ეს ასე არ არის, ერის მოვალეობა არა აქვს უფლება ერის სახელით ილაპარაკოს, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ბატონო გიორგი, დღეს კულუარებში საუბრის დრო არ არის, ქვეყანა გადასარჩენია თქვენ-ნაირი მტარვალეებისა და გარე მტრებისაგან. თქვენმა ინტერვიუმ გადამაწვევტინა ერთხელ კიდევ მოგმართოთ თქვენ. იმ უბედურებაში, რაც ქვეყანად ტრიალებს, ლომის წილი "ქრისტინან-დემოკრატიულ" პარტიას მიუღვდის. თქვენ რომ არა, შინააშლილობისა და ოპოზიციური პარტიების გააქტიურების პირობებში მიხედო სააკაშვილი ბრიყვეულ ნაბიჯს არ გადადგამდა და რუსეთთან ომს არ დაიწყებდა. მას თქვენ შეუქმნით კომფორტი, რადგან ერთპარტიული პარლამენტის პირობებში ქვეყნის მართვა ამ ქვეყნის არადემოკრატიულობის უტყუარი ნიშნეა. ამით თქვენ სააკაშვილს მოუხსენით მიძიმე ტვირთი, ერთპარტიული დიქტატორი "დემოკრატი" გახადეთ, მიეცით მას საფუძველი ევროპაში განეცხადებინა, რომ "ქრისტინან-დემოკრატიკის" სახით მას პარლამენტს შიგნით ძლიერი ოპოზიცია ჰქავს. ამით თქვენს პარლამენტში შეძრომას მიძიმე შედეგი მოჰყვა, ასობით ადამიანი დაიღუპა,

გადიწვა ქალაქები და სოფლები, ასობით ათას ლტოლვილს დაემატა ლტოლვილთა ახალი ტალღა, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიებიც დაგვარგეთ სამანაბლოსა და კოდორის ხეობაში (სულ 142 სოფელი). საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშვა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ქვეყანაში მძინვარებს პოლიტიკური, სახელმწიფო, ეკონომიკური კრიზისი და სხვა.

ბატონო გიორგი, როგორც თქვენი ინტერვიუდან ჩანს, გუშინდელმა სპეცსამსახურის თანამშრომელმა, ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის ხელმყოფმა, ყველას მომტყუებელმა, ასე მოკლე პერიოდში, საინტერესოა, რა ასეთი მეტამორფოზა განიცადეთ, რომ ადამიანის ღირსების დამცველად გვევლინებით?

ბატონო გიორგი, თქვენგან ხშირად გვესმის, რომ "ქრისტინან-დემოკრატიული" პარტია თქვენი დაარსებულია. სინამდვილეში ხელისუფლებამ შეგაკოწიწათ მოკლე ხანში, იმისათვის, რომ პარლამენტი ერთპარტიული არ ყოფილიყო და ამას საერთაშორისოდ უარყოფითი რეზონანსი არ გამოეწვია. არჩევანი თქვენზე გააკეთეს, როგორც სპეცსამსახურის თანამშრომელზე. შეგიქმნეს პარტია, რომელსაც "ქრისტინან-დემოკრატიკა" დაარქვეს, და თქვენც კარგად გამოიყენეთ ეს გარემოება. არა და, გისვამთ მარტივ კითხვას: საიდან მოიტანეთ ის მილიონები, რომელსაც ასეთი ხელაღებით ხარჯავდით? მთელი საქართველო აჭრელებული იყო "ქრისტინან-დემოკრატიკის" სააგენტო ღოზუნგებით და პლაკატებით, რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში ძეირადღირებული მანქანებით დაგვავდათ ასობით მხარდამჭერი თბილისიდან, რა თქმა უნდა, მათ უმასპინძლებდებოდნენ, თბილისში კი, საითაც გაიხვდავდით, ყველგან თქვენი პლაკატი დამშვენებული მანქანა დაქროდა. კოორდინატორებს ფულს აძლევდით, რესპუბლიკის ყველა რეგიონში გაგანჩიათ კეთილმოწყობილი ოფისი. და კიდევ ვინ ჩამოთვლის თქვენს მიერ არჩევნებთან გაწეულ ხარჯებს! და თუ თქვენი მოძრაობა ხელისუფლების მიერ არ იყო დაფინანსებული, მაშინ თავისთავად უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ცხონებული ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის მიერ ნაწყალბეგ სახსრებს ხარჯავდით, რომელსაც თავად გაუთხარეთ სამარე! სხვაგვარად, თქვენ ესოდენ დიდ ფულს ვერ იშოვნდით, რადგან თქვენს პარტიაში მხოლოდ უფულო და უქონელი ჟურნალისტები არიან გაერთიანებული.

ბატონო გიორგი! ჩემის აზრით, თქვენ უფლება არ გაქვთ, რომ "ქრისტინან-დემოკრატიული" პარტიის ლიდერი იყოთ. ამ მეტად საპატიო სახელს უადრესად ფაქიზი მიდგომა სჭირდება, რადგან, რაც თქვენ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიჩინეთ, ქრისტინანული საქმე არ გიკეთებათ. ყოველი თქვენი საჯარო გამოსვლა თუ მოქმედება მხოლოდ აშკარა თვალთმაქცობაა, საძრახის დემაგოგიაზე, ყალბ მიწვევებითობაზე დაფუძნებული, რომელიც მიხნად ისახავს მხოლოდ მხარდამჭერთა რიცხვის ზრდას. ამაში თქვენ ხელს გი-

წობენ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ არსებული სატელევიზიო არხები. თქვენ გულუბრყვილო ადამიანებს იპყრობთ ყალბი რიტორიკით, მაგრამ იმაზე სრულიადაც არ ფიქრობთ, რომ სიტყვებში აზრი უნდა სჭარბობდეს და არა დემაგოგიური დოზუნგები, რისთვისაც თქვენ უფალს ჰკოლისხართ მოვლენილი ამ ცოდვით დამძიმებულ დედამიწაზე!

თქვენს პიროვნულ თვისებებზე ბევრი იწერება პრესაში, ბევრს ამბობენ კულუარებში (ასლან აბაშიძესთან და ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილთან დაკავშირებით, ასევე ცნობილია ერთი ქართული პოეტის გამოხატულება, რომელმაც თქვენ, არც თუ უსაფუძვლოდ, შეგადარათ "პალესტინის ხელიკს"), მთელი კი საქმის ფინალურ აქორდს ამ ალბათ ქვეყნიდან გადახვეწილი ვალერი გელბახიანი გაახსოვანებს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, რადგან იგი ინფორმაციას ფლობს პ ა ტ ა რ კ ა ც ი შ ვ ი ლ თ ა ნ დაკავშირებით მასხენდება ერთი ძველი ანეკდოტი: მწერლობის მამიებელ ნუქქას ჰკითხეს თურმე, ესა და ეს წიგნი თუ გაქვს წაკითხულიო. მან კი ამაყად უპასუხა: "მე მკითხველი არა ვარ, მე მწერალი ვარ!" ასე რომ, თქვენ "პროგნოზისტი" არა ხართ, თქვენ დამსმენი ხართ! ინტერვიუდან ჩანს, რომ თქვენ, როგორც სპეცსამსახურის თანამშრომელს, სიფხილის გრძობა მოგიდუნდათ, რადგან ჭეშმარიტ ინფორმაციას ვერ ფლობთ ქვეყანაში სახალხო მოძრაობის აღმავლობაზე, ნამდვილი ოპოზიციური ძალების გააქტიურებაზე, რომ 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სახალხო მოძრაობამ პიკს მიადწია. თბილისის ეროვნული სტადიონი და მიმდებარე ტერიტორია გაიჭედა პროტესტის გრძობით გამსჭვალული ხალხით, რომლებიც პრინციპულად მოითხოვდნენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო ვადამდე არჩევნებს, თვითმარქვია პრეზიდენტ სააკაშვილის უპირობო გადადგომას, ქვეყანაში ძალღონი სტრუქტურების პარპაშის აღკვეთას და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და ა.შ. დიდ "პროგნოზისტს" ეს რომ გცოდნოდათ, ასეთ ინტერვიუს არ მისცემდით და არ იტყოდით "კიდევ ერთხელ დავინახე ქართული ოპოზიციის ირაციონალურობა" (ჩვენს მკითხველს განეუმარტავთ, რომ სიტყვა "ირაციონალური" ნიშნავს ყოველგვარ კანონზომიერებას მოკლებულს, სრულიად ალოგიკურს), "მოსახლეობის დიდი ნაწილი იმედგაცრუებულია"-ო, "პრეზიდენტი გამარჯვებულია"-ო.

ბატონო გიორგი, ჩემის აზრით, თქვენ, ყველაზე მეტად სიყვარული გაკლათ, რითაც დემოტომა მანიკერებისათვის გაგწირა. თუ ამას ვერ ხვდებით, ვერასოდეს განიკურნებით. ვიდრე ახალგაზრდა ხართ, უნდა იფიქროთ ამაზე, და არა "შეგენარობაზე". ქართველი "გაჯაკაც" იმდენად დაეცა, რომ ნინო ბურჯანაძისა და სალომე ზურაბიშვილისადმი სიძულვილი წონასწორობას გაკარგვინებს, იმიტომ, რომ, სიმართლე გითხრეს და №2 მიზა გიწოდეს (თუმცა ეს სახელი თქვენ თვითონ უწოდეთ საკუთარ თავს, თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე). თქვენ მოვლენების ანალ-

გადობას, რაც შემდგომ გაირკვა). ამით გიორგი თარგამაძე პოტენციურ მკვლელად გვევლინება. არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანს ტყვიით ან ხანჯლით მოჰკლავთ თუ აგენტურული ინტრიგებით. გიორგი თარგამაძე რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია, იქიდანაც ჩანს, რომ მიხედო სააკაშვილმა იგი საქართველოს მომავალ პრეზიდენტად დაასახელა.

ხალხმა რომ გიორგი თარგამაძეს "შადიმან ბარათაშვილი" დაარქვა, ეს მეტად მოკრძალებულად მეჩვენება, რადგან ქართულ სახელმწიფოს დაარსების დღიდან – დღემდე, მოღალატეებს, ერთად აღებულს ყველას, საქართველოსათვის იმდენი ზიანი არ მოუტანია, რაც გიორგი თარგამაძემ მოუტანა! ამის შედეგია ის, რომ ქვეყანა დღეს სრულიად დანგრეულია, მოშლილია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლი.

ბატონო გიორგი, თქვენს ზემოთხსენებულ ინტერვიუსთან დაკავშირებით მასხენდება ერთი ძველი ანეკდოტი: მწერლობის მამიებელ ნუქქას ჰკითხეს თურმე, ესა და ეს წიგნი თუ გაქვს წაკითხულიო. მან კი ამაყად უპასუხა: "მე მკითხველი არა ვარ, მე მწერალი ვარ!" ასე რომ, თქვენ "პროგნოზისტი" არა ხართ, თქვენ დამსმენი ხართ! ინტერვიუდან ჩანს, რომ თქვენ, როგორც სპეცსამსახურის თანამშრომელს, სიფხილის გრძობა მოგიდუნდათ, რადგან ჭეშმარიტ ინფორმაციას ვერ ფლობთ ქვეყანაში სახალხო მოძრაობის აღმავლობაზე, ნამდვილი ოპოზიციური ძალების გააქტიურებაზე, რომ 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სახალხო მოძრაობამ პიკს მიადწია. თბილისის ეროვნული სტადიონი და მიმდებარე ტერიტორია გაიჭედა პროტესტის გრძობით გამსჭვალული ხალხით, რომლებიც პრინციპულად მოითხოვდნენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო ვადამდე არჩევნებს, თვითმარქვია პრეზიდენტ სააკაშვილის უპირობო გადადგომას, ქვეყანაში ძალღონი სტრუქტურების პარპაშის აღკვეთას და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და ა.შ. დიდ "პროგნოზისტს" ეს რომ გცოდნოდათ, ასეთ ინტერვიუს არ მისცემდით და არ იტყოდით "კიდევ ერთხელ დავინახე ქართული ოპოზიციის ირაციონალურობა" (ჩვენს მკითხველს განეუმარტავთ, რომ სიტყვა "ირაციონალური" ნიშნავს ყოველგვარ კანონზომიერებას მოკლებულს, სრულიად ალოგიკურს), "მოსახლეობის დიდი ნაწილი იმედგაცრუებულია"-ო, "პრეზიდენტი გამარჯვებულია"-ო.

ბატონო გიორგი, ჩემის აზრით, თქვენ, ყველაზე მეტად სიყვარული გაკლათ, რითაც დემოტომა მანიკერებისათვის გაგწირა. თუ ამას ვერ ხვდებით, ვერასოდეს განიკურნებით. ვიდრე ახალგაზრდა ხართ, უნდა იფიქროთ ამაზე, და არა "შეგენარობაზე". ქართველი "გაჯაკაც" იმდენად დაეცა, რომ ნინო ბურჯანაძისა და სალომე ზურაბიშვილისადმი სიძულვილი წონასწორობას გაკარგვინებს, იმიტომ, რომ, სიმართლე გითხრეს და №2 მიზა გიწოდეს (თუმცა ეს სახელი თქვენ თვითონ უწოდეთ საკუთარ თავს, თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე). თქვენ მოვლენების ანალ-

იხის უნარი არ გაგანჩიათ და არ იცით, რომ ცინიზმითა და ბოღმით მხოლოდ სისუსტეს ავლენთ. თქვენივე სიტყვები მინდა გამოვიყენო: "ადრე ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ", რომ ხელისუფლების აზრს ახმოვანებთ. იმ ხელისუფლებისა, ვინც პარტია შეგიკოწიწათ და ახლა ვალის გადახდის მიზნით გსურთ ასიამოვნოთ, ემარებით მას ოპოზიციის განეიტრალებაში და ახდენთ ხელისუფლების აზრის გავრცელებას იმის თაობაზე, რომ ნინო ბურჯანაძე "რუსების აგენტია, რუსების დაფინანსებულია და რუსების დაპროგრამებულია". მართალია ამ სიტყვებს არ ხმარობთ, მაგრამ აშკარად აუღრებთ ამ აზრს. თქვენ ისიც არ იცით, რომ საქართველოში ქალს ჯიშინი ძაღლიც კი არ დაუღრენს...

და ბოლოს, თქვენ ხშირად უხსენებთ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს წარსულ საქმიანობას და თვლით მიხედო სააკაშვილის რეჟიმის თანამონაწილედ. ეს მეტად სასაცილოდ მეჩვენება, მაშინ, როდესაც თქვენ ყოველდღიურად სააკაშვილის საქმეს აკეთებთ და ხალხმა მეტსახელად "ფიგარო" შეგარქვათ. "ფიგარო აქ ფიგარო იქ", სადაც ხელისუფლებას დასჭირდებით, იქ განდებით ხოლმე. ხშირად, ხალხის მოსახვედრად, ღია კარის მტკრევასაც არ თაკილობთ და ხელისუფლების "ცენზურანაბოები" კრიტიკით გამოდინართ.

თქვენს მიერ წაყენებულ ბრალდებას ქალბატონი ნინო არ უარყოფს და მას, როგორც ქალს, ეყო გამბედაობა და არაერთხელ საჯაროდ მოინანია და ხალხს ბოდიში მოუხადა და შეგებული შეცდომებისათვის და არა დანაშაულებისათვის. თანაც, ისიც უნდა ითქვას, რომ ბურჯანაძის ოპოზიციის გადმოსვლამ დიდი მუსხტი მისცა საზოგადოებას, რადგან მან ხალხისათვის უცნობი მრავალი საკითხი გაახმოვანა სააკაშვილის უარყოფით პიროვნულ თვისებებზე, რამაც თითქმის სავსებით დასცა მისი, როგორც პრეზიდენტის ავტორიტეტი. თქვენ კი, ბატონო გიორგი, იმის ვაჟკაცობა არ გეყოთ, რომ საჯაროდ მოგუნანიებინათ ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული, და არა შეცდომა, როგორც ეს ჯერ კიდევ მიანია ზოგიერთ გულუბრყვილოს. ქრისტინანული კანონით ამას თქვენ ხალხი მოგტყვევდათ, მაგრამ სად თქვენ და, სად ქრისტინანული საქციელი. თქვენთვის "ქრისტინანობა" მხოლოდ თქვენი ჭეშმარიტი მიზნის დასაგვარად გამოყენებული უფალია, რადგან სახელს ის სახრავი გირჩევნიათ, რომელიც ჯერ კიდევ უხვად მოიძვევა ხელისუფლების ბედელში...

მაგრამ, დადგება დრო, ყველაფერს ნათელი მოეფინება და ხალხი მკაცრად მოგთხოვთ პასუხს თქვენს მიერ ჩადენილი ყველა ავაკობისათვის.

გიორგი (გონი) ცაავა,  
საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი

# ლაპრენტი ბერია — ქართული ბერია



## სერგეი კრემლიოვი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

ბულგანინი საკმაოდ რუხი ფიგურა იყო, მაგრამ ბერიამ ალბათ უკვე იცოდა, ვინც იყო ხრუშჩოვი... მისამი მიწვილი ხუთიო სტრუქტურაში ბერია მხოლოდ იმას იხსენებს, თუ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე როგორ **“მშენებარედ”** ლანძღავდა ხრუშჩოვი ბერიას.

სამაგიეროდ, მოკლედ და გულწრფელად მიმართავს იგი კავანოვისა და მიქოიანს:

**“ლაზარ მოსეს ძე და ანასტას ივანეს ძე! თქვენ მე დიდი ხანია მიცნობთ. ანასტასმა მე ჯერ კიდევ 1920 წელს გამაგზავნა საქართველოში არალეგალურ სამუშაოზე, ლაზარი კი 1927 წლიდან მიცნობს. მე არ დამაიწყებდა თქვენი ამავი კავკასიაში მუშაობისას. ასევე ბევრი შემიძლია ვილაპარაკო მოსკოვში ერთობლივ მუშაობაზე. ერთს კი აღნიშნავ, რომ თქვენ ყოველთვის იყავით პრინციპულები საქმის მიმართ, მე კი, ჩემის მხრიდან, ვაკეთებდი იმდენს, რაც შემიძლო...”**

დღეს რამდენი სიცრუე შეიძლება წაიკითხო მუსავაგეტოა დახვეწვაში ბერიას მუშაობაზე. მე ამის თაობაზე დაწერილებით ვისაუბრებ... მაგრამ, ნუთუ ამ წერილის სტრუქტურა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ბოლო მოეღოს ყოველგვარ უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას? გაიხსენებდა კი მისთვის ასეთ მიმე ჟამს ბერია 1920 წლის ამბებს, იგი რომ ამ საქმეში მართლაც დასერილი ყოფილიყო? არა მგონია.

უკანასკნელი მიმართვა ეხებოდათ პერვუხინსა და საბუროვს, რომელსაც გარკვეულ მოსახრებათა გამო მოგვიანებით გავაცნობ მკითხველს.

ეს საოცრად ყოველსიმომცველი და მრავალპლანიანი წერილი ამ სიტყვებით მთავრდებოდა:

**“ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ალბათ ეს წერილი არ უნდა დაეწერა, მაგრამ გთხოვთ მომიტყუოთ. პიროვნად გთხოვთ გამიგო, რადგან შენ სხვაზე უკეთ კარგად მიცნობ. მე მხოლოდ იმით ვსულდგმობდი, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მომეტანა სამშობლოსათვის, და თუ უნებლიედ რამე შეცდომა დაეწერა, ამისათვის იმდენად მაკცრად უნდა მომეკითხოს, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება არ დამაიწყდეს. მაგრამ მე ყოველთვის ვიყავი სამშობლოსა და ლენინ-სტალინის საქმეებისა და პირადად თქვენი ერთგული... გვედრებით, გამიშვიტ, თუნდაც ქვეყნის ყველაზე მიყრუებულ ოლქში, სრულიად უმნიშვნელო საქმეზე, რათა დაგარწმუნოთ, რომ ჯერ კიდევ ძალიან სარგებლობის მოტანა. მომეცით გამოსასწორებლად 2-3 წელიწადი და ყველაფერი რიგზე იქნება. მე სულის ბოლო ძაფამდე ვრჩები ჩემი სამშობლოსა და პარტიის ერთგულად.**

**ლავერენტი ბერია”.**  
ხელმოწერას მცირე ტექსტი ჰქონდა დართული:

**“ამხანაგებო, ბოდიშს გიხდით, რომ გარკვეული ვერ ვწერ, რადგან ვიმყოფები მძიმე მდგომარეობაში, საკანში არ არის შესაბამისი განათება და არ მაქვს პენსენი”.**  
სხვისი არ ვიცი, მაგრამ, როცა ამ წერ-

ილს ვკითხულობდი, გული ჩამწყდა, როცა წავიკითხე სიტყვა **“პენსენი”**. თითქოს ვიგრძენი ამ ადამიანის უმწიფობა, გულუბრველობა...

აი, როგორია ბუნებრივად გამოგზავნილი მორე წერილი. პირველი წერილი შედარებით მოკლე იყო და მას მოგვიანებით მოვიყვან. მაგრამ რა შეიძლება ვუწოდო ამ წერილს.

აღსარება?  
გარკვეულწილად – დიახ. მაგრამ, ეს მაინც არ შეიძლება იყოს აღსარება, რადგან აღსარება არ შეესაბამება ბერიას ბუნებას. ფაქტობრივად ესაა გაწვეული სამუშაოს ანგარიში.

უფრო სწორად, ესაა გავლილი ცხოვრების ანგარიში.

დიახ, ამ წერილში მთელი სიცოცხლე აღწერილი, თითქოს მქუხარე, მაგრამ მაინც ერთფეროვანი. არსად ჩანს ბაჰამისა და კანარის კუნძულები, არსად ჩანს ნიცა – მხოლოდ რიწის ტბას შეიძლება წააწყდე... არავითარი **“ვერსაჩეს”** კოსტუმები და **“ხუთვარსკვლავიანი”** სასტუმროები... არავითარი საუნები საპრეზიდენტო აპარტამენტებში... არავითარი სამთო თხილამურები...

და არავითარი მოგონებები, თუნდაც ასეთი: გახსოვს რა მაგრად ვიგრივლეთ კურსეველში, სადაც ათ გოგონას **“გადავუარეთ”**?

და სჭირდებოდა კი ყოველივე ეს ბერიას – კურსეველები, ვერსაჩები, აპარტამენტები, **“შაგი ქამრები”** და სამთო თხილამურები?

ამათ სანაცვლოდ მას ჰქონდა უამრავი საქმე!

სახელმწიფოებრივი!  
სხვა რა სჭირდება საიმისოდ მამაკაცს, რომ მშვიდად უცვიროს თვალეში ეპოქასა და ისტორიას?

წერილის ტონი სავსებით მშვიდი და ღირსეული იყო. ვერსად წააწყდებოდა განწირული ადამიანის შეკვივებას და საშველად ისტერიულად ხმობას. მაგრამ ასეთი მდგომარეობა ხელს არ აძლევს ლიბერალებს. ამიტომ, ისინი მთლიანად წერილის ციტირებას კი არ ახდენენ, მხოლოდ რამდენიმე ფრაზას დაათრევენ იქით აქეთ. ბერიას მიერ დაცემული ერთადერთი სიტყვა, რომელმაც მისი შინაგანი დღევა გაამჟღავნა, არის **“გვედრებით”**, მაგრამ კონტექსტში ის დამამცირებლად მაინც არ გამოიყურება...

ნამდვილად არ გამოიყურება. ლავერენტი ბერია მიიხედავდა, რომ მის ბიოგრაფიას შეეძლო მისი სიცოცხლის გადარჩენა და იმედოვნებდა, რომ წავიდოდა სამუშაოდ იქ, სადაც ცენტრალური კომიტეტი მიიხედავდა საჭიროდ.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მოვლენები ამგვარად არ განვითარდა. 1953 წლის რომელიღაც თვეში ამ წიგნის გმირის სიცოცხლე დაპატიმრების შემდეგ დასრულდა.

### თავი IV ბიოგრაფიის დასაწყისი

მე არ ვცდილობ, რომ მხოლოდ ლავერენტი ბერიას ზუსტი ბიოგრაფია შევქმნა – თუნდაც პოლიტიკური. წიგნის თემად შეიძლება მივიჩნიოთ ბერიას ბედზე გამავალი ეპოქა, მისი ბედის არსი, როგორც სახელმწიფოს წარსულის შემცენების ორიენტირი... და მისი, სახელწოდებით თუ უსახელოდ დამდუგველი მომავალი.

მაგრამ, როცა საუბრობ ადამიანზე, არ შეიძლება არ მოიხსენიო მისი ცხოვრების გზის დასაწყისი, მისი ბავშვობა და სიყმაწვილე. ჩვენ ხომ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ.

როცა ლავერენტი ბერიას ადრეულ ფო-

ტოებს აკვირდები, გოცნება გიპყრობს, რადგან ამ ფოტოებიდან აშკარად გიმჩერს სრულიად უბრალო, კეთილი, გულუბრველო ადამიანი, რომელსაც სჯერა ხალხის...

ასე რომ არ ყოფილიყო, უაღრესად მაკცრი და მომთხონი ულამაზესი ნინა გეგეჰკორი მას ცოლად არ გააყვებოდა. და კიდევ ერთი აზრი აგეკვირება ადამიანს ამ ფოტოების ხილვისას – 1930 წელს ბერია გადაღებულია პენსენს გარეშე, 1934 წელს კი მას პენსენი უკეთია. გამოდის, რომ, ოთხი წლის განმავლობაში უამრავი ლიტერატურა გადაიკითხა ამ ადამიანმა. დიახ, განათლებით იგი ბევრად მაღლა იდგა ბნელ და გაუნათლებელ ხრუშჩოვზე, რომელმაც მის მიერ **“ნაცოდეილარი”** რეზოლუციის ერთ სიტყვაში ორი უხეში შეცდომა დაუშვა...

სხვათა შორის, მისი მიდრეკილება განათლებისადმი დასტურდება არა მხოლოდ ცხვირზე წამოკოსებული პენსნით, არამედ მისი ბიოგრაფიითაც...

იგი დაიბადა 1899 წლის 17 (29) მარტს საქართველოში, სოხუმის მაზრის მთიან სოფელ მერხეულში. ერთი წყაროთი დასტურდება, რომ იგი დაიბადა ღარიბ ოჯახში, სხვა წყაროებით – მდიდარი გლეხის ოჯახში.

გამორიცხული არ არის არცერთი ვერსია... ერთის მხრივ, კავკასიის ღარიბ ოჯახში დაბადებულ ბავშვს ყოველთვის როდი შეეძლო განათლების მიღება, ლავერენტი კი უკვე რვა წლის ასაკში მოეწყო სოხუმის უმაღლეს დაწვებით სასწავლებელში, რომელსაც, ამავ დროს, რეალურს უწოდებდნენ.

მეორეს მხრივ, იმიტომ, რომ ბავშვისათვის განათლება მიეცათ, მისმა მშობლებმა ღამის ნახევარი სახლი გაყიდეს. მდიდარ ოჯახს ამის საჭიროება არ დაუდგებოდა. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ბერიების ოჯახი ღარიბი არ იყო, მაგრამ მაინც მოკრძალებულად ცხოვრობდნენ.

გიმნაზია – ეს მაღალი კლასის შვილთა სავანე იყო. **“რეალური”** სასწავლებლები კი იმიტომ არსებობდნენ, რომ ღარიბი ოჯახის ნიჭიერი შვილები **“ხალხში გამოეყვანათ”**. გაიხსენოთ, რომ რეალურ სასწავლებელში სწავლობდა პავლე კორჩაგინი, და მისი ლიტერატურული სახის შემქმნელი – ღარიბი გლეხის შვილი ნიკოლოზ ოსტროვსკი.

ლავერენტის მამამ – პავლემ, სამეგრელოდან აფხაზეთს შეაფარა თავი, მისი შვილის შვილის სერგოს განმარტებით იმიტომ, რომ აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოს გლეხთა მდებარეობაში. ეს სავსებით შესაძლებელია. ლავერენტის შვილის – სერგოს მოგონებებით ისიც დასტურდება, რომ იგი დიდი მდგომარეობის მქონე მამის დადუგვის შემდეგ ძველებურ ღარიბულ ყოფას დაუბრუნდა, მაგრამ ერთხელაც არ დაუშუქუნებია ამის თაობაზე.

მართალია სოფელი მერხეული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა, მაგრამ იგი წმინდა წყლის მეგრული დასახლება იყო.

სერგოს მოგონებებიდან ჩანს, რომ ლავერენტის დედა – მართა ჯაყელი, – საქართველოს თავადების – დადიანთა ერთ-ერთ სანათესაო შტოს წარმომადგენელი გახლდათ, მაგრამ იგიც ღარიბი ოჯახიდან იყო. მართა პავლეს მას შემდეგ მისთხოვდა, რაც პირველი მეუღლე დაეღუპა და მისგან დარჩა ბიჭი და გოგო...

სერგო იგონებდა, რომ პაპამისმა ბებიამისი ვაჟაკობითა და სიღამაზით მოხიბლა. თუ გავიხსენებთ თვით სერგოს ახალგაზრდობას, ეს სრული ჭეშმარიტებაა,

რადგან სერგო სატანურად ღამაზი შესახედაობისა გახლდათ. ამას მხოლოდ შემორჩენილი ფოტოები არ ადასტურებენ. ეს დასტურდება კორნეი ჩუკოვსკის ჩანაწერებითაც, რომელიც მან 1953 წლის 12 ივლისს გააკეთა, როცა ლავერენტი უკვე დაპატიმრებული იყო: **“მასხენდება ბერიას ვაჟი შვილი, ღამაზი, თითქოს ფაიფურისაგან ჩამოთლილი, ჩუმი, აკრეფილი ინტელიგენტი, მშვიდი”**.

მის სიმშვიდესა და აკადემიურობას ადასტურებდნენ სერგოს თანამშრომლებიც.

სარწმუნოა, რომ ოჯახი თბილი და შრომისმოყვარე იყო. მამა ყოველთვის სამუშაოზე იყო, დედა შესანიშნავად კერავდა და მაშინაც კი არ მიუტოვებია ხელს საქმე, როცა ლავერენტის უკვე მაღალი თანამდებობა ეკავა.

მშობლებს ძალიან უნდოდათ, რომ შვილისათვის სათანადო განათლება მიეცათ. იგი ამას გრძნობდა და ყველაფერს აკეთებდა ოჯახის დასახმარებლად. ამისათვის იგი პატარებს ამეცადინებდა და რეპეტიტორობით ირჩენდა თავს, რასაც აღნიშნავდა კიდევ საკუთარ ბიოგრაფიაში. ლავერენტი წარმატებული ახალგაზრდა იყო.

სერგო ბერია წერდა: **“მამას მასწავლებელთაგან ბევრს ეხედებოდა საქართველოში. ესენი იყვნენ საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული ხალხი. ბევრს მომითხრობდნენ მამას პატარაობაზე და მამაც თბილად იგონებდა თავის პედაგოგებს”**.

16 წლის ასაკში ლავერენტი წარმატებით დაამთავრა სოხუმის სასწავლებელი და ბაქოში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. რატომ მაინც დამაინც იქ – თბილისი ხომ უფრო ახლოს იყო? ეს შეკითხვა, რატომღაც, ბერიას არცერთ ჟამთააღმწერელს არ გასჩენია.

ფიქტობ, რომ აქ ორმა გარემოებამ ითამაშა როლი. იმ დროისათვის ბაქო ამიერკავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი იყო. აქ იოლი იყო ტექნიკური განათლების მიღება, სამსახურის შოვნა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა. ჩვენის აზრით, სიტუაცია განაპირობა პირველმა ფაქტორმა, რადგან ბერიას ტექნიკური განათლების დაუძლეველი სურვილი და მეცნიერის მონაცემები ჰქონდა (შემდეგ ეს აღნიშნა ისეთმა კომპეტენტურმა ექსპერტმა, როგორც იყო აკადემიკოსი კაპიცა).

1915 წლიდან ბერია ბაქოს საშუალო მექანიკურ-საამშენებლო სასწავლებლის სტუდენტი. გარდა ამის, იგი სტუდენტთა მარქსისტული წრის აქტიური წევრი ხდება.

ამავე წელს მასთან საცხოვრებლად გადადიან დედა, თავისი ხუთი წლის შვილის შვილით და გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ ყრუ-მუნჯად დარჩენილი და. ლავერენტის კიდევ სამი ადამიანის რჩენა უწევს. რა თქმა უნდა, ისინი ძალიან ღარიბულად ცხოვრობდნენ. დედა საკერავს საქმეს დღედაღამ არ სცილდებოდა, მაგრამ მალე ლავერენტიმ ფოსტალიონად დაიწყო მუშაობა და მათი ოჯახის ფინანსური მდგომარეობაც შესამჩნევად გამოსწორდა. იმდენად, რომ დედამ კერავას თავიც კი დაანება.

მამა – პავლე კვლავინდებურად სოფელ მერხეულში, პატარა სახლში ცხოვრობდა. იმისათვის, რომ ლავერენტი ბერია სასწავლებლად გაემგზავრებინა, ის დარჩენილი ნახევარი სახლიც გაყიდეს, რის გამოც პავლე ბერია ღარიბ გლეხთა ფენას ეკუთვნოდა.

საგაბრელოს საგაგაო შიილეი

იპოლიტე ვართაგავა



1956-1962 წლებში კი იპოლიტე ვართაგავამ გამოსცა მეშუარული ჟანრის მოცულობითი ნაწარმოები "მოგონებები", რამაც ასევე დიდი და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული ლიტერატურის მკვლევარებს. ასევე ფასდაუდებელია იპოლიტე ვართაგავას მოღვაწეობა პედაგოგიურ სფეროში, რომელსაც მაშინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში, მაღალ შეფასებას აძლევდნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და იმ პერიოდის სხვა გამოჩენილი ადამიანები. მრავალი პატრიოტი მკვლევარი აღუზარდა სამშობლოს ამ მართლაც მკლავმოუღლემა და მუხლჩაუხრელმა ადამიანმა.

ღვაწდომოსილმა მეცნიერმა ღრმა სიბერეში აღწია - იგი 1967 წელს აღესრულა. მაგრამ, მას გარდაცვალების დღემდე არ შეუწყვეტია მუშაობა და მომავალ თაობებს მდიდარი ფუნდამენტური ნაშრომების კრებული დაუტოვა ქართული ლიტერატურის ისტორიაზე. სამშობლომ და ხალხმა ღირსეული პატივი მიაგეს მუხლჩაუხრელად მოღვაწე ქართველ მეცნიერს. მართალია, მას საბჭოთა ხელისუფლებისაგან ბევრი სახელისუფლებო ჯილდო არ ჰქონია, რადგან ყველა პრინციპულ და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ დიდ მეცნიერს ბოლშევიკები "არასაიმედო ელემენტად" მიიჩნევდნენ. მაგრამ სულმნათი იპოლიტე ვართაგავა ყველაზე დიდ დაფასებად და ჯილდოდ მიიჩნევა იმ გულწრფელ პატივსცემსა და სიყვარულს, რასაც მის მიმართ ავლენდა მშობლიური ქართველი ერი. იგი მართლაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს წამყვან მეცნიერთა წრეებში.

ანზორ შონია

"ჩვენი ქვეყნის სახელები სხვადასხვა ეპოქაში: იბერია, ეგრისი, კოლხეთი, საქართველო",

1993 წელს გამოვიდა ცნობილი ქართველი მწერლის, ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ ანზორ შონიას მორიგი ნაშრომი "ჩვენი ქვეყნის სახელები სხვადასხვა ეპოქაში: იბერია, ეგრისი, კოლხეთი, საქართველო", რომლის რედაქტორი გახლავთ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ბატონი კლიმენტი შელია. გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწვევტებს აღნიშნული ნაშრომიდან.

მსოფლიო საზოგადოებას რომ სწორი წარმოდგენა შეექმნას საქართველოზე და ქართველ ხალხზე, მას უნდა მიეწოდოს მაღალ დონეზე შედგენილი საქართველოს ისტორია.

მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს უაღრესად ძლიერი ისტორიული სკოლა, გვაკავდა და გვაქვს მსოფლიო დონის ისტორიკოსები, არათუ მსოფლიო საზოგადოება, არამედ ქართველი ხალხიც ვერ ედრსა საქართველოს სრულყოფილ ისტორიას. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ "ქართლის ცხოვრება", სადაც საერთოდ არაა ნახსენები "კოლხეთი" და "იბერია" და მინც აღიარებულია საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროდ, რა გამართლება შეიძლება მოენახოს იმ მიუღებელ გარემოებას, როდესაც საქართველოს თანამედროვე ისტორიაში აშკარად მცდარი აზრია გამოთქმული ქართველი ხალხის შემადგენლობაზე, ქართულ ეთნოსზე და საერთოდ ქართულ ენაზე.

მაშინ ნათქვამია, რომ ქართველები იყოფიან ქართლურ, მეგრულ და სვანურ ეთნიკურ-ლინგვისტურ ჯგუფებად. მიუხედავად ჩემი ღრმა პატივისცემისა ამ მოსაზრების მქონე მეცნიერების მიმართ, მე ეს აზრი კატეგორიულად მიუღებლად მიმაჩნია, ვინაიდან ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ქართველები, მეგრელები და სვანები სხვადასხვა ეთნოსის და ენების მქონე ხალხები. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა სახელები ერქვა, მაგრამ ეს არ იყო დაკავშირებული ეთნიკურ ან ენობრივ ცვლილებებთან და ქართველები ერთი ეთნოსისა და ენის მქონე ჯგუფები იყვნენ. მართალია, თითქოს მონოეთნიკური ხალხები არ არსებობენ, მაგრამ თუ ვინმეს აქვს ამის პრეტენზია, არსებობს საფუძველი - ქართველი ხალხი აღიარებული იქნეს ერთიანი ეთნოსისა და ენის მქონე ერთ-ერთ უძველეს ხალხად მსოფლიოში. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიიდან ეს არ სჩანს, რასაც მივიჩნევ ქართველი მეცნიერების

ტყდა – კოლუბიკინის წასვლის დროს ატეხილ აურზაურში, ის წერილი ჩუმადავიღე და, ქვაშხორში რომ დაგებუნდი, ეკატერინე დედოფალს უკან დაუბრუნევიო. თუ მიქაძე არა ტყუოდა და ჩვენ რომ მართლა გეცოდნოდა ეს მისი მოწაფური ეშმაკობა, ჩვენ ბევრს ვიცინებდით და მართლა რომ სასაცილო იქნებოდა. სამი მოწმე ვიყავით: აკოფოვი, ერისთავი, მე და მეოთხეც – ვიცე-გუბერნატორი. ყველამ წავიკითხეთ წერილი, დედოფალი მეგრულის ეშმაკობით მოატყუა მიქაძემ და ისიც გულისმოსვლის დროს ამბობდა – ასეთი წერილი არ არსებულაო. მეტად სასაცილო რამ იყო.

საღამოს, ჩვეულებრივ, კოლუბიკინთან ოთახში შემოვიდა აკოფოვი და როცა გაიგო, რა ამბავიც იყო, ჯერ ცხვირი გამოიტყნა ბურნუთით, კარგა ხანს ხმას არ იღებდა, რამდენჯერმე დააცხიკინა და ბოლოს დაიწყო:

– თუ არ მცემ, ნიკოლოზ პეტრეს ძეგ, ჩემს ნათქვამს მოგაგონებ... აკი გეუბნებოდი – ნუ მიდიხარ-მეთქი. რაში ვესაქმება – შენ ქუთაისის...  
– წადი, დაიკარგე, თორემ, ეს არის მაგრად გეცემ... ნამდვილი სულელი ხარ შენ, სრულიად არ გესმის, რომ საქმე ამით არ გათავებულა და უნებოთ მაინც არაფერი სასიკეთო არ იქნება... მაგრამ თავი დავანებოთ ამაზე გაუთავებელ ლაპარაკს, საშინლად მომბეზრა თავი სრულიად უსაქმო ლაყობამ, სჯობია სხვა საქმეს მოვიკიდოთ ხელი... აღექსი, სწრაფად მოიტა მაგიდა და ბანქო. ბატონებო! როდისმე უნდა მოუვოთ თუ არა ამ ყანად აკოფოვს?

\*\*\*  
ქუთაისში დაბრუნების მერე დღეს კოლუბიკინმა თავის მოქმედების შესახებ მოხსენება გაუგზავნა მეფის ნაცვალს და იმისვე შესახებ მისწერა თავისს მას მიხვილს. მისი მოხსენების შინაარსი ის იყო, რომ გლეხების აჯანყება სრულებით ბუნებრივი მოვლენაა იმ ქვეყანაში, სადა საჯალურებსა და კისერზე მისაბმელ ჯაჭვებს ხმარობენ, და სადაც ადამიანებს პირუტყვსაგით მკვდიანო. ამ რეჟიმს კოლუბიკინი დრო-მოჭმულადა სთვლიდა და მისი მხარის დაჭერა უხერხულად მიანდა. დედოფალს არ ამტყუნებდა: არც ამას გაუჩნია ეს რეჟიმი და არც ამას შეუძლია მისი გამოცვლაო. მაინც, რაც უნდა იყოს, არ შეიძლება სამწუხაროდ არ ჩავთვალოთ ისა, რომ იგი მეტისმეტად გულმოდგინედ ცდილობს მის შენარჩუნებას, ისიც თავის შვილების ქონებრივ ინტერესებისათვის. ეს წინდაუხედავი გულმოდგინება მეტად ყალბ მდგომარეობაში აყენებს. არც თავის მამას, აღექსანდრე ჭავჭავაძეს, არც იმ საზოგადოებრივ წრეში, სადა იგი გაიზარდა, არ შეიძებოდა პლანტატორული მიდრეკილება გადასდებოდა; ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც იმდენათ ეშინიან შვილების ქონების გაფლანგვისა, რომ იძულებულია მხარი დაუჭიროს თავის საზიზღარ მოურაგების მიერ გლეხების გატყავებას. ასეთი აგენტები საშინო არიან საზოგადოებრივის მშვიდობიანობისათვის. ყაზახურების ჩაყენებით და ეკატერინე არსებითად საქმეს ვერ ეშველებს, თუ აწინდელი ადმინისტრაციის მთელი პირადი შემადგენლობა სხვა შემადგენლობით არ გამოიცვალა. და მართლაც, განა სამართლიანობაა, რომ მდინარე ცხენისწყალი, რომელიც გეოგრაფიულად ორ მხარეს ერთმანეთისაგან ჰყოფს, ერთ ნაპირისკენ აბსოლუტურ კანონიერ იურისდიქციას აწესებს, ხოლო მეორე ნაპირისკენ – სრულს უსამართლობას; განა შეიძლება ასეთი ფაქტი სულმუდამ აღუნიშნებლად და რეაგირების გარეშე დაეტოვოთ, – ამ სიტყვებით ამთავრებდა კოლუბიკინი თავის მოხსენებას.

თავისი კორესპონდენცია ტფილისში რომ გაგზავნა, კოლუბიკინი ისევე თავისს მიმდინარე საქმეებს დაუბრუნდა, როგორც ქუთაისის გუბერნატორი, და მისი აქ არყოფნაში კი აუარებელმა საქმემ მოიყარა თავი.  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# პარიზული დღიურები

ექვნიება დიდი ქართველი მამულიშვილის, საქართველოდან ბედის უკუღმართობით გადახვეწილი, ქართულ მიწა-წყალს დანატრებული კალისტრატე სალიას ნათელ ხსოვნას

პარიზი  
(1983 წლის აპრილი)

თითქმის დაუჯერებელი ოცნება იყო იმ დროს უცხოეთში გასვლა და ისიც კაპიტალისტურში... საკუთარ სამშობლოში ყველაფერი მხოლოდ კუჭის სიმძაღრით იზომებოდა და თუ კი ვინმე არაღვებულურად გააღწევდა აქედან, ქვეყნის მტრად და დისიდენტად ცხადდებოდა. არსებობდა კიდევ ერთი გზა – ბედნიერ საბჭოთა ტურისტთა რიგებში მოხვედრა, რაც არც ისე ადვილი იყო. ერთხელაც, ამ „ბედნიერთა“ რიგებში მეც მოხვდი... და თბილისიდან მოსკოვის გავლით, საკმაოდ დამღლევი მოგზაურობის შემდეგ, ჩვენი თვითმფრინავი შარლ დე გოლის აეროპორტში დაეშვა.

პარიზის პირველად ნახვის ბედნიერების აღწერას აქ არ შეუვლავს, მაგრამ პირველი წუთიდანვე სასიამოვნო მოულოდნელობები თან რომ გვედგა, ამას გვერდს ვერ ავივლი. გავიარეთ თუ არა რამდენიმე ათეული მეტრი სივრცის შუშის კოლბა, თვითმფრინავს რომ აერთებდა აეროპორტის შენობასთან, იქვე მოსაცდელ დარბაზში ანსამბლ „რუსთავის“ თითქმის მთელი შემადგენლობა დაგვხვდა. კონცერტები ჰქონიათ „ოლიმპიას“ საკონცერტო დარბაზში, რომელსაც გაუგონარი წარმატებით ჩაუვლია...

აეროპორტის მოსაცდელი დარბაზის შუაგულში შეგროვილ ჯგუფთან მივედი. იქვე, შორიხლოს, აშკარად ქართული გარეგნობის გოგონა იდგა. ჩვენი გამოჩენისთანავე იგი ნელი ნაბიჯით წამოვიდა მოგვეხალა. დანებულებმა ჯერ ხმა ვერ ამოვიდეთ, მოგვიანებით კი „გაგიმარჯოსო“ – ერთხმად ვუპასუხეთ!...

ლიზიკო დავრიშაშვილი აღმოჩნდა ჩვენი თანამოსაუბრე. მოგივივა – „სამი დღეა მე და ჩემი და-ძმები მორიგეობით დავდივართ აეროპორტში, გავივით ქართული ჯგუფი ჩამოდიოდა, მაგრამ დღე არ ვიცოდით ზუსტად, ბედნიერი ვარ, რომ მე მომიწია თქვენთან შეხვედრაო!“ ისიც დაეხსენებინა, ჩვენ რამდენიმე საათში უნდა გაგფრენილიყავით ლიონში. „ოთხ დღეში პარიზში დაბრუნებულეხს მე და ჩემი და-ძმები გინახულეთო!“

იმწუთშივე მიაყარეს კითხვები – „კი მაგრამ რამდენი ხართო?“ ათიო, გვიპასუხა ლიზიკომ – „ოთხი და და ექვსი ძმა!“

ესეც მცირე შოკი იყო ჩვენთვის – პარიზში ათი ქართველი და-ძმა ცხოვრობს?! მერე მე მომიბრუნდა ლიზიკო, როგორც ჯგუფში ყველაზე ახალგაზრდას და ტელეფონის ნომერი მომცა. მითხრა – „როგორც დაბრუნდებით მაშინვე დამირეკეთ და სასტუმროში გეწვევითო მე და ჩემი და-ძმები!“

ამასობაში ავტობუსიც მოვიდა და „პარიზ ქალაქისკენ“ დამრულთ, მალევე დაგვაიწვია ლიზიკო დავრიშაშვილი და მისი და-ძმები...

ერთი კვირა სამხრეთ საფრანგეთში მოგზაურობის შემდეგ პარიზში დაბრუნებულეხს დავრიშაშვილებთან ერთად პარიზელი ქართველი გურამიც გვიწვედა მასპინძლობას. ჩვენ, საბჭოთა ტურისტებს, როგორც ზემოთ ვახსენე, ქართველ ემიგრანტებთან პირადი შეხვედრები სასტიკად გვეკრძალებოდა. უკიდურეს შემთხვევაში, სასტუმროში შეგვეძლო მათთან საუბარი, ისიც აუცილებლად ერთად შეერბილ ჯგუფის რამდენიმე წევრს... ცალკე საუბარი გარკვეული მიზეზების გამო აკრძალული იყო.

მე ერთი პატარა უპირატესობა მქონდა ჩემი ჯგუფის წევრებთან შედარებით – ჩემს უცხოელ თანამემამულე ქართველთან შემქმნელ გერმანულად მესაუბრა და ჩემი გვეგები თუ სურვილები გამეზიარებინა, ისე რომ ჯგუფის წევრებს ვერაფერი გაეგოთ, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო მათ შორის „კაგებეს“ ინფორმატორიც ყოფილიყო.

სწორედ ასე მოვიქციე ბატონ გურამთან, რომელიც რამდენიმე უცხო ენას, მათ შორის გერმანულ ენასაც საუცხოოდ ფლობდა. შევთანხმდით სად და როდის უნდა შევხვედროდით და ჩემი ორი აუცილებელი სურვილი – ჩავსულიყავი ლევილში, მენახა (მაშინ თითქმის ყველა ქართველის ოცნებად ქცეული) ლევილის სასაფლაო და შევხვედროდი ბნ კალისტრატე სალიას სწორედ ამ გზით იქცა რეალობად. ბნი გურამი მეორე დღისთვის შემპირდა ორივე სურვილის განხორციელებას.

ჩემთვის, ყველაფერი ეს ლამაზი სიხმრის ახდენაზე უფრო მეტი იყო და სასწრაფოდ დავთანხმდი.

პირველი დღე პარიზში ქალაქის ექსკურსიით და ლუვრის დათვალიერებით დაიწყო.

ლუვრის სარდაფში, საიდანაც დათვალიერება იწყებოდა, სწორედ მაშინ შევედი, როცა ერთმა საბჭოთა „ტურისტკამ“ კინაღამ კვარცხლბეკიდან ჩამოიღო „გენერალ მილოსელის“ ქანდაკება და სკანდალი იყო ატეხილი. „ხელებმოტეხილ ბაბა“-სთან გადამიღეთო სურათი და წელში ეცა თურმე ტურისტ-მწველავე ქალი... სასწაულით გადაურჩა კიდევ ერთხელ მიწაზე დანარცხებას მართლაც ზეციურ სულნადგმული სასწაული ქმნილება!...

საგანგებოდ გაგვეფრთხილეს და ინციდენტის შემსწრენი, ხელი არაფრისთვის გვეხლო და მეც განვაგრძე „სუფლიორი მაგნიტოფონის“ მონაყოლის ქართულად გადმოცემა. ანტიკური ხანიდან მაღალ სართულებზე გადაინაცვლებოდა ერთ ტილოსთან შექმნილი. ზოგერთი ჯგუფის წევრი დაწინაურებულიყო და ვისოვე ყველანი ჩემს გარშემო მოგროვილიყვენ. ყველაზე ბოლოს გორელი შრომის გმირი ბატონი შოთა მოვიდა, პატარმღელეული ტრაქტორისტების ბრთვადის ბრთვადირის, ლენინის ორდენოსანის და შრომის გმირის „მუშიე“ ვალიკოს ძმა, კაცი. დერეფნის ბოლოში შორიდანვე ჩანდა ერთ ტილოსთან ხალხის სიმრავლე. ბატონი შოთაც იქიდან მოსულიყო; გაკვირვებული ყვებოდა – „ვიდაც დედაკაცის სურათი გამოუკიდიათ და დიდი და პატარა იმას აწყვებოლ!“

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენც ბატონი შოთას თხოვლით, „ვიდაც დედაკაცის სურათის“ მნახველთა რიგში ვივადეთ, რომელიც „მონა ლიზა“ იგივე „ჯოკონდა“ აღმოჩნდა... ასეთი იყო საბჭოთა დროინდელი სახელმწიფოთა ვასაგზავნი ტურისტების შერწყვის პრინციპის შედეგი!...

პარასკევ ნაშუადღევს მანქანით მეზაურობა კატასტროფაა პარიზში! თითქოს მთელი მოსახლეობა ტოვებოთ ქალაქს, მანქანების ზღვა მივდინება ქალაქგარეთ. ჩვენც ამ ნაკადს გაუწყვეით ლევილისკენ.

ჩვენი პარიზში ჩასვლა საფრანგეთიდან აეროფლოტის და საბჭოთა დიპლომატების ნაწილის გასახლებას დაემთხვა, რომელთაც ჯანაშუბო ბრალდებოდა, და ამის გამო პარიზში ჩასვლისთანავე სსრკ-ს საკონსულოში შეხვედრა და საგანგებო ინსტრუქტაჟის მოსმენამ მოგვიწია. მკაცრად გაგვაფრთხილეს – „მარტო არ გვევლო, უცხოის არ შეგხვედროდით და ჯგუფის უფროსის ნებართვის გარეშე სასტუმრო არ დაგვეტოვებინა“. ამ დროს კი, მე ბნ გურამთან ერთად ლევილისკენ მივდივარ. არც გურამისთვის იყო უცნობი ჩვენი საგანგებო მდგომარეობა და ლევილში წასვლის გადაწყვეტილება რამდენიმე საკითხის საგულდაგულად შეთანხმების შემდეგ მივიღეთ. ერთ ერთი მათგანის თანახმად ლევილში მხოლოდ გერმანულად უნდა გვესაუბრა ერთმანეთთან, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო იქ კაგებეს თავისი

ავანტი ჰყოლოდა და ჩემთვის ეს მოგზაურობა ცუდად დამთავრებულიყო. ამიტომ შემთხვევით შემხვედრ ქართველთანაც გამოირიცხა ჩვენი კონტაქტი და საუბარი. როგორც ვთქვით ჩემთვის მთავარი იყო ლევილის და იმჟამად ყველა ქართველისათვის ოცნებად ქცეული ლევილის ქრთველ ემიგრანტთა სასაფლაოს მონახულება...

გურამმა ჩინებული მეგზურობა გამიწია, უამრავი საფლავი მოვიხანულეთ, პატივი მივაგეთ მათ ხსოვნას და ბოლოს ნოე ჟორდანიას საფლავთან გავეჩრდით. როგორც ყველა იმდროინდელი ქართველი, მეც იმწამსვე ცნობილი ეპიტაფიის ძებნას შევუდექი, რაც ჩემი მასპინძლისთვის უცხო არ დარჩენილა და ამისხნა, რომ იგი არასოდეს წერებულა ნოეს საფლავის ქვაზე. მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნებულმა მე თვითონ გამოვიკვლიე – ცნობილი სტრიქონები „ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი, მისი სიკეთით მსურს გავიხარო. თუ საქართველო ვერ ვიხილე თავისუფალი, დე მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!“, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ნოე ჟორდანიას მიაწერდნენ, მართლაც საქართველოს გულდამწვარ პატრიოტს სიმონიკა ბერეჟიანს ეკუთვნოდა თურმე...

გვიან მოგბრუნდით ლევილიდან. ბატონ კალისტრატესთან შეხვედრა მეორე დღისთვის დაგინშნეთ. ცნობილ კაფე „მონ პარნასთან“.

საგანდებოდ მოვემზადე ამ შეხვედრისთვის. ერთი ბოთლი ოჯალეში და თბილისის ხელები წამოვიღე სწუქრად და ეს შეხვედრაც შედგა. ბოდიში მოგუხადე ბატონ კალისტრატეს შეწუხებისთვის, მაგრამ ისიც მოგახსენე – მე არ ვიცი მეორედ მოხვდები თუ არა პარიზში და ამიტომაც გაგუდე თქვენი შეწუხება, სახლში დაბრუნებულს პირველ რიგში ამას მკითხავენ... თქვენთან შეხვედრას მარტო მე კი არა, მთელი საქართველო მოვლის მეთქი! თვითონაც მომიბოდიშა – „სახლში ვერ მივიღეთ, ქალბატონი ნინო შეუვლოთა, წინა კვირას რუსთავის კონცერტს დავესწარი, იმდენად ავგაფრთოვანა ნანახმა ვერ აღვიწერო. ნინოს საქართველოდან ჩამოსული ქართველის დანახვაზე დიდი ემოციები დასწემდა და წნევა უწევს...“

მირჩია მეც მენახა რუსთავის განახლებული პროგრამა. სახელი და გვარი რომ ვუთხარი – მეგრული თუ იციო პირველი ეს მკითხა!

რა თქმა უნდა ვიცი მეთქი და რამდენიმე წუთი მეგრულად ვისაუბრეთ. გამიკვირდა მისი მეგრული, რაც მასაც არ დარჩენია შემოქმნიველი და თვითონვე განმამარტა – „აქ ყველა განათლებულმა ქართველმა მეგრული იცოდაო!“ ... მოგვიყვა თუ რა პირობებში ბეჭდავდა „ბედი ქართლისას“, ინანა, რომ თან არ ჰქონდა წამოღებული...

საუბარს მოჰყვა და მე ისევ ვუხსენე – თქვენ მთელი საქართველო გელოდებოთ, რატომ არ ჩამოდიხართ მეთქი!

ეს საოცრად კეთილი, მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოზე ფიქრს და ზრუნვას გადაგებული ადამიანი უცბად გაშეშდა და გაიბრინდა... კარგა ხანს ვიჯექით უხმოდ. გული დამწყდა რატომ ვკითხე, გული რატომ ვატკინე მეთქი!...

– შევნიშნე მიხვდა ჩემს წუხილს და თითქოს შორს ვიდაცის გასაგონად თქვა – „მე საქართველო ისეთივე ნათელი და ამადლებული მინდა ვიხილო, როგორიც ჩემს მესხიერებაში დამჩნაო!“

ჩემი მოკრძალებული საწუქარი გადავიცი, მაღლდა მოვახსენე რომ ჩემთვის დრო გამონახა და ერთმანეთს მალე შეხვედრის იმედით დავცილდით.

1985 წელს ბატონ კალისტრატე სალიას, ევროპაში საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერს, როგორც იქნა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრობა მიანიჭეს, და იმავე წელსვე გარდაიცვალა პარიზში.

25 წელი მიილია პარიზში შეხვედრიდან

და ვერ ამეხსნა თუ რას ნიშნავდა – „მე საქართველო ისეთივე ნათელი და ამადლებული მინდა ვიხილო, როგორიც ჩემს მესხიერებაში დამჩნაო!“

... მართლაც უბედური დღეები უდგას დღეს საქართველოს. მტერს თუ გაუხარებს გულს ორი ტყუპისცალი ძმის „პოზიცია-ოპოზიციის“ პოლიტიკურ პოდიუმზე ხილვა. არც ერთ მათგანს ტოლი არ დაუდგია ერთმანეთისთვის, სხვადასხვა დროს საქართველოს სულიერ და ფიზიკურ ნგრევაში. ძნელად თუ მოიპოვება მათ რიგებში მართალი და ქვეყნისათვის მოფიქრალი ადამიანი!...

ალბათ ამას გულისხმობდა სულმნათი კალისტრატე სალია, ასეთი საქართველოს და ქართველების ნახვის ეშინოდა მას სამშობლოში დაბრუნებულს და სამშობლოს „ნათელი და ამადლებული მოგონება“ გაიყოლია თან სამარადქამო სასუფეველში!...

პარიზში „რუსთავის“ კონცერტს ვერ დავესწარი, მაგრამ გურამმა ერთი პატარა სასწაული მომწერე მაინც გაგახვდა საკონცერტო დარბაზ ოლიმპიას მიდამოებში – იმხანად ახალი გამოხული იყო ყურთსასმენიანი პატარა მაგნიტოფონები, რომელიც იუნესკოს ბავშვთა დაცვის ფონდმა „იუნისეფ“-მა გამოუშვა და დიდს და პატარას კისერზე კეიდა იგი და მუსიკას უსმენდა. ჩვენც ფეხით მოსიარულეთა ნაკადში გავეჩრეთ. გურამი ბოდიშის მოხდით აჩერებდა გამველეთ, თხოვდა ჩემთვის „გერმანელი ჟურნალისტისთვის“ ეთქვა, თუ რა მუსიკას უსმენდა. ზოგმა სიამოვნებით, ზოგმაც უსიამოდ მოგვაწოდა ყურთსასმენი, ჩვენც მადლობას ვუხდით, ვიდრე ერთ ახალგაზრდას გავეჩრებდით და გურამის ცნობილ კითხვაზე, თუ რა მუსიკას უსმენდა, კინაღამ სიცილით არ გაიგულა... სული რომ მოთქვა მიაყოლა – „ამან რა იცის ის ქვეყანა მე რომ მუსიკას ვუსმენო“ და ყურთსასმენი მომწოდა. ადრევე ვიგრძენი, რადაც არამწვეულეობით უნდა მომხდარიყო, მაგრამ მუსიკის პანგი რომ ჩამეხსნა, ხელი ყურთან გამეყინა, ხმა ვერ ამოვიდო... გურამს ღიმილი გადაფენოდა სახეზე – ჰამლეტ გონაშვილი ვაღობდა წინაწაროს!...

გაოგნებული ფრანგი ახალგაზრდა ხან მე, ხან გურამს შეგყურებდა, ვიდრე გურამი ეტყოდა, ჩემი სტუმარი ქართველია, ერთი კვირის წინ ჩამოვიდა პარიზშიო. ახლა ეს ყმაწვილი აფორიაქდა – „უთხარი ხელი მომაკიდებინოს, ვიტრბახებ ცოცხალ ქართველს შევეხეო!“

... ვაგლახ, რომ ბატონ კალისტრატე სალიას და მის ქართულ ემიგრაციას სამარადქამო სასუფეველში გაჰყვა ევროპაში ქართველისადმი მორიდება და პატივისცემა, ხელი-ხელ ნაგოგმანებ „ბედი ქართლისა“-სთან ერთად!...

... ჩვენი პრეზიდენტის და მისი მთავრობის თუ ოპოზიციის შემხვედრე, საქართველოს მაცხოვრებლებს, მალე ევროპაში პატივის გვეცემენ კი არა, ჯანმრთელობის ცნობის გარეშე აღარ შეგვეშებენ!...

დავით ქობალია



# ელუარდ შავარდნაძე – ნიღბით და უნიღბოდ

**ჩვენ არ ვებრძვიტ პოლიტიკური არენიდან ვითომ წასულ, მიხრწნილ შევარდნაძეს, როგორც პიროვნებას! ჩვენ ვებრძვიტ “შევარდნაძეობს”, რომელმაც უამრავი უბედურება მოუტანა საქართველოს და დღეს უფრო მეტად მძლავრობს, ვიდრე მისი უკანასკნელი მმართველობის ქამს. სხვა მრავალი უბედურება წინ გველის, თუ დროზე არ დავიხსნით თავს ამ მიმიე პოლიტიკური სენისაგან.**

იცით, როდის გახდება საქართველო მდიდარი ქვეყანა და, ჩვენს უბედურე ხელისუფალთა ენით რომ ვთქვათ, როდის “გაბრწყინდება” იგი? მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოში მცხოვრები ყოველი ადამიანი, და მით უმეტეს სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენელი შეიგნებს, რომ წინა პლანზე მხოლოდ სამშობლოს გაძლიერების ამოცანა უნდა დააყენოს და არა პირადი ინტერესები.

სამშობლოს მძარცველები და მისი გამყიდველები, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი მნიშვნელობით, ვერასოდეს ვერსად გაექცევიან მთელი ქართველი ხალხის უკიდურესი ზიზღსა და საკუთარ პასუხისმგებლობას თავიანთი უკეთური ნამოქმედარისათვის, რადგან მათ მიერ ჩადენილ მიმიე დანაშაულს არასოდეს გაუვა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონით დადგენილი სააღმსრულებლო ვალა.

ურისა და ქვეყნისადმი მათ ამგვარ ანომალიურ დამოკიდებულებებში გასაკვირი და დაუჯერებელი ნამდვილად არაფერია. განა ჩვენი მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური კონსულტანტების, დიდი მასშტაბებით ქურდობის, სურვეციისა და რასიზმის შემომქმედი იმ ამერიკელების სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელის სულიერი საფუძველი არ გახლავთ მეოცე საუკუნის დასაწყისში პრესაში დაბეჭდილი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მათმა ქვეყანამ ოფიციალური სახელმწიფო ჯილდო დააწესა ინდიელი მამაკაცის სკალპის მომტანისათვის – 30 დოლარი, ინდიელი ქალის სკალპის მომტანისათვის 15 დოლარი და ინდიელი ბავშვის სკალპის მომტანისათვის კი 3 დოლარი?

სხვა რა არის ეს, თუ არა ადამიანთა მხეცური მკვლელობის წახალისება, რამაც პრაქტიკულად სრულიად გაანადგურა ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა? თუ ვინმეს პგონია, რომ ფინანსური და პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას დახარბებული ამერიკელები შემეცნებაში იმ პერიოდის შემდეგ რაიმე კარდინალურად შეიცვალა, მწარედ სცდებია.

ან იქნებ არც ის კმარა ამერიკელთა სიბოროტისა და კაცთმოძულეობის დასტურად, რომ იაპონიაში, პრაქტიკულად მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, იაპონიაში ჩამოყრილ ატომურ ბომბებს სამასი ათასზე მეტი მშვიდობიანი იაპონელის სიცოცხლე შეეწირა!

შეიძლება სამხედრო ტაქტიკითა და სტრატეგიის ხელოვნებით ამერიკელები მართლაც შორს არიან წასულები და მათი მოდელი მართლაც მისაღებია, მაგრამ, სირცხვილია, რომ სულით მეომარ და მამაც ქართველებს მტრის დახვედრისა და მასთან გამკლავების ფსოქოლოგია გვასწავლონ ამერიკელებმა. ქართველი მეომარი მაშინაც არ გარბოდა ბრძოლის ველიდან, როცა ათი მტერი ერთ ქართველზე მოდიოდა, და ამის ნათელ მაგალითად თუნდაც სამასი არაგველის ან ცხრა მამ ხერხეულიძის საარაკო გმირობა შეიძლება მოვიხმოთ. და ეს მაშინ, როცა შიშისაგან ელდნაცემი ამერიკელი ფეხოსანი ჯარისკაცი მხოლოდ მაშინ გადა-

დიოდა იერიშზე, როცა მოწინააღმდეგეთა პოზიციებს სრულად გაანადგურებდა ამერიკელთა ავიაცია და არტილერია. ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, თავის ცნობილ წიგნში “რამ დაგვღუპა, რა გადაგვარჩენს”, აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, ქალაქის დამცველი გერმანელები მედგრად იცავდნენ ხოლმე თავს ამერიკელ ჯარისკაცთა შეტევებისას, როცა ტყვიაწამალი გამოეფეოდათ, ქალაქიდან უკან იხევდნენ და იქ მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა რჩებოდა. ამ დროს იწყებდა შტურმს ამერიკელთა ავიაცია და არტილერია, რომლის მსხვერპლი მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა ხდებოდა. გაეიხსენოთ ქალაქი დრეზდენი, რომელიც უმოწყალოდ დაბომბა მტრის შიშით დაზაფრულმა ამერიკულმა ავიაციამ. ამ ვანდალიზმს 300.000 მშვიდობიანი გერმანელი შეეწირა, და ეს მაშინ, როცა ქალაქში უკვე არცერთი გერმანელი ჯარისკაცი არ იმყოფებოდა. სწორედ იმ დროს ექიმები ხშირად უსვამდნენ ამერიკელ ჯარისკაცებს დიაგნოზს “შიშის ელდა”, რომლის შემდეგ ეს ჯარისკაცი ბრძოლისუნარიანად აღარ ითვლებოდა.

აი, ვინ გვასწავლის ქართველებს ომის ხელოვნებას!

სწორედ ამიტომაც არის, რომ ამერიკელების დაკრულზე მოცუკვავე ზოგიერთი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი ეჭვს გამოთქვამს საუკუნეთა მანძილზე ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმებით მომხდურთა მრავალთაობისანი დაშტრების დამარცხების თაობაზე. არა და, ამ ფაქტებს უფრო ხშირად სწორედ თავდაშხმელი თუ სხვა მტრულად განწყობილი ქვეყნების მემტანელები უფრო დაწვირდებით აღნუსხავდნენ, ვიდრე ქართველი უამთადმწერდები.

გარდა ამისა, იგივე ამერიკელებმა დაკონურად “აგვისხნეს” ქართველებს, რომ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური თუ სამართლებრივი თვითნებობა თურმე დიქტატურისაკენ სწრაფვა კი არ არის, არამედ მხოლოდ იმ მიხეხით ხდება, რომ ჯერჯერობით საქართველოში დემოკრატია თურმე ჩვილი ბავშვითაა და მას დახვეწა და სწორი აღზრდა სჭირდება.

და ამას გვეუბნებიან ჩვენ, ქართველებს, რომელთა მეფეები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აძლევდნენ მთელ მსოფლიოს დემოკრატისა და ტოლერანტობის თვალნათელ მაგალითს. ამის დასტურად თუნდაც მეფე დავით აღმაშენებლის ჭეშმარიტად ბრძნული გადაწყვეტილება შეიძლება მოვიყვანოთ, რომელმაც არაბთა ბატონობისაგან ტფილისის განთავისუფლების შემდეგ ქალაქის ქრისტიანულ მოსახლეობას მაშამდიანურ უბნებში ღორების დაკვლა აუკრძალა, რათა მუსულმანთა რელიგიური მრწამსი არ შეზღაფლდყო.

და ეს მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს შექმნამდე 500 წელზე მეტი იდო წინ!

და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყვნენ საბოლოოდ ჩამოყალიბებული ევროპის სახელმწიფოები!

ჩვენ რომ ცხოვრების ამერიკულ მოდელში ჩავეწვროთ, უნდა გავიაროთ სწორედ ამერიკული “ველური დასავლეთის” ავადსახსენებელი ეპოქა, რამაც XVII-XIX საუკუნეებში თითქმის გაანახევრა ამ კონტინენტის მოსახლეობა. ნუთუ საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა იფიქროს იმაზე, რომ სოციალური და ეკონომიკური თუ ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებით ისედაც განახევრებული საქართველოს კიდევ განახევრება მის გამეოთხედეებას, შემდეგ კი უიმედოდ განადგურებას ნიშნავს? ნუთუ მართლა ქართველების მიწის პირიდან სრულიად აღსოცვა გახლავთ გარკვეული პოლიტიკური ძალების მიზანი? განა ჩვენი დღევანდელი ყოფა არ არის იმ “ველური დასავლეთის” ყოფის ზუსტი ასლი, სადაც მხოლოდ ძლიერი შეიძლება გადაარჩინილიყო, სუსტი კი უჭკველად იღუპებოდა. მერე და, მართლაც რაში სჭირდება ბუნებრივი შერჩევის ამგვარ “ინდუსტრიალ” უმადლესი სასწავლებლები და განათლებული ხალხი? გაუნათლებელ მასას ხომ

ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაუძვირებ ენერგომტარებლებს და პროდუქტების ფასს, თანდათან, შეუმჩნეველად მიიყვან ქვეყანას ჯერ გადატაკებად, შემდეგ კი სრულ კოლაფსამდე. მაშ რატომ არის, რომ ჩვენს მეზობელ სომხეთში, რომელსაც ჩვენზე ბევრად ნაკლები ბუნებრივი რესურსები და სამრეწველო-ეკონომიკური რესურსი გააჩნია, ცხოვრება ბევრად უფრო იაფი და ასატანია, ვიდრე საქართველოში? განა ქვეყნის ჩამონენელების სურვილით არ ანადგურებენ საქართველოს მტრები ერთმანეთის მიეოლებით ქართულ საგანმანათლებლო კერებს? უჭკველია, რომ სწორედ ამ მიხეხით ვერ გაიარა 2006 წელს აკრედიტაცია ამიერკავკასიაში ერთ-ერთმა უდიდესმა სასწავლო საინჟინრო-ტექნიკურმა ცენტრმა – საქართველოს პოლიტექნიკურმა უნივერსიტეტმა, რომელიც წლების განმავლობაში მაღალკვალიფიციურ საინჟინრო-ტექნიკურ კადრებს უზრდიდა როგორც საბჭოთა კავშირს, ასევე უცხოეთის მთელ როგ ქვეყნებს. და ეს მაშინ, როცა, საქართველოს განათლების სამინისტროს ხელშეწყობით აკრედიტაცია დიდი წარმატებით გაიარეს რომელიღაც უბადრუკმა, საექვო რეპუტაციის მქონე, ფარდალალა შენობებში განთავსებულმა კომერციულმა უმადლესმა სასწავლებლებმა, რომელთაც არც შესაბამისი მაღალკვალიფიციური პედაგოგთა რესურსი გააჩნიათ, არც მატერიალური სასწავლო ბაზა და არც სასწავლო პირობები. სამაგიეროდ, მათი რეალური მფლობელები სახელისუფლებო სტრუქტურებში არიან მოკალათებულები და იქიდან პატრონობენ “ფულის საჭრელ მანქანად” ქვეულ საკუთარ უმადლეს სასწავლებლებს.

ცნობილი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვებით რომ ვთქვათ: “ჩვენი დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობა (იგულისხმება ელუარდ შევარდნაძე – ავტორები) დაუინებოთ და სისტემატურად უნერგავდა ხალხს აზრს საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის, მისი მეზობელი სახელმწიფოებისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის გამონაკლისი მნიშვნელობის შესახებ, რის გამოც თითქმის საქართველო მალე შეეცარიად გადაიქცევა, ხოლო ყოველი ქართველი ქუეყითის შეიხივით იცხოვრებს. ჩვენ თავს მოგვასვივს სხვის კმაყოფაზე ყოფნის, მუქთახორის ფსიქოლოგია და ნელ-ნელა გადაგვარჩივს მუშაობას, საკუთარი ეკონომიკის შექმნისა და განვითარებისაკენ მისწრაფებას... დღემდე ჩვენ გვესმის: “ამერიკა დაგვეზმარება”, “თურქეთი გვიშეგლის”, “სავალუტო ფონდი კრედიტებს გამოგიყოფს”, “ნავთობსადენი მილიონებს მოგვიტანს” და ა.შ.”. ელუარდ შევარდნაძემ და მისმა ამფსონებმა იმდენად გამოაყვეყნეს ქართველი ხალხი ამგვარი ილუზიური შეპირებებით, რომ მისი გადაშენებიდან ხუთი წლის



შემდეგაც კი დღევანდელი ხელისუფლების ანალოგიური მოწოდებები დღესაც აქტუალურია და პირდაპინილი ხალხი სასოებით მოელის შევლას იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც ნელა აქეცმაცვენ და ინაწილებენ საქართველოს.

ღიას, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ძალზე მომგებიანია არა მხოლოდ ამიერკავკასიის სივრცეში, მაგრამ, ვინ თქვა და სადაა გარანტია, რომ ამ მდგომარეობის უპირატესობით აუცილდება ქართველი ხალხი თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოთი ისარგებლებს?

ქართული სახელისუფლებო სტრუქტურებისა და ვიპოლიტიკოსების მიერ შეკრული გეოპოლიტიკური ხაფანგიდან გამოსავლის ძებნა ჩვეულებრივ ორი პოლარული დასკვნით თავდება: “ამერიკა დაგვეზმარება” და “ევროპა გადაგვარჩენს”, რომელსაც ამ კონცეფციის ავტორისა და ერთიანად გადატაკებული საქართველოს კიდევ უფრო გასადატაკებლად საქართველოში კულტივირების ინიციატორის ელუარდ შევარდნაძის “დაყირაყების” შემდეგაც არ დაუკარგავს ელვარება. მოდი ახლა, და ნუ განიმტკიცებ იმ აზრს, რომ ელუარდი ხელისუფლებიდან საკუთარი ნებით წავიდა, ხელისუფლება კი მის მიერ შერჩეულ იმ ძალას დაუტოვა, რომელიც ერთგულად აგრძელებს ამ ქვეყნის დამატკევერის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს. საქართველოს შევარდნაძისეული ხელისუფლება პრორუსულ პოლიტიკას ატარებდა, დღევანდელი ხელისუფლება პრორუსულ, პროამერიკულ და პროდასავლურ პოლიტიკათა გატარებითაა დაკავებული, იმაზე კი არავინ ფიქრობს, რომ პროქართული პოლიტიკა გაატაროს. ვერც გაატარებენ, რადგან ისინი ქართულად საერთოდ ვერ აზროვნებენ და მეორეც, პროქართული პოლიტიკის შემუშავებაზე ხელისუფლათაგან ჯერ არავის უზრუნია და ამის უფლებას მათ არც ამერიკელი “გლობალისტი” პატრონები მისცემენ.

რ. შალამბერიძე

**ციტატა-შეხსენება**  
“არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტებს შორისაც შევარდნაძე, სამწუხაროდ, ძალიან სუსტ პოლიტიკოსად გამოიყურება. მას ტაჯიკეთის პრეზიდენტ რახმონოვს ადარებენ ხოლმე, ვინაიდან მხოლოდ ტაჯიკეთსა და საქართველოში ხელისუფლებამ საქმე ძმათამკველ ომამდე მიიყვანა: ქართველები ესროდნენ ქართველებს, ტაჯიკები – ტაჯიკებს. სხვაგან არსად ასეთი რამ, არ ყოფილა. თუმცა, რახმონოვი მაინც ძლიერი პოლიტიკოსი აღმოჩნდა: მან ქვეყნის დაშლა არ დაუშვა, ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნა. შევარდნაძე იმ ძველი პარტნომენკლატურის ტიპური წარმომადგენელია, რომელსაც არ შეუძლია მუშაობა დამოუკიდებლად, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. მათ აუცილებლად “ზემოდან” მითითებები სჭირდებათ. ადრე იყო პოლიტიკური, დღეს – სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, სახელმწიფო დეპარტამენტი და ა.შ. ალექსანდრე ჭაჭია, 2000 წლის დეკემბერი”.

გაზეთი "ილორი" უძღვება რეპრეზენტაციას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

# საფრანგეთი – 1998

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ფიფამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, რაც ფინალურ ეტაპზე გასული გუნდების 32-ე გაზრდაში გამოიხატა.

პირველ ჯგუფში უდავო ფავორიტი მოქმედი ჩემპიონი ბრაზილიის გუნდი გახლდათ, მათ პირველი მატჩი ანგარიშით 2:1 მოუგეს შოტლანდიელებს. ბრაზილია ქვეჯგუფში მართლაც პირველ ადგილზე გავიდა, მეორე

პოზიცია კი ნორვეგიელებმა დაისაკუთრეს.

მეორე ჯგუფში უპრობლემოდ დაისაკუთრა ლიდერობა იტალიის ნაკრებმა, რომელმაც მხოლოდ ჩილელებთან დაამთავრა მატჩი ფრედ. მეორე საგზური სწორედ ჩილელებმა დაისაკუთრეს, რომელთაც უკან მოიტრიალეს კამერუნისა და ავსტრიის გუნდები. კენჭისყრამ აშკარად გაუმართლა საფრანგეთის ნაკრებს. მესამე

ჯგუფში მათთან ერთად ასპარეზობდნენ დანიის, სამხრეთ აფრიკის და საუდის არაბეთის გუნდები. პირველ-მეორე ადგილები საფრანგეთმა და დანიამ გაიყვეს.

მეოთხე ჯგუფი "სიკედილის ჯგუფად" მონათლა, რადგან აქ თავი მოიყარეს ნიგერიის, ესპანეთის, პარაგვაისა და ბულგარეთის გუნდებმა. ამ ჯგუფში ბედმა ნიგერიისა და პარაგვაის ნაკრებებს გაუღიმა.



**ფინალი**  
 ბრაზილია – საფრანგეთი 0:3  
 12.07. 1998წ. სენ-დენი, "სტად დე ფრანსი"-ს სტადიონი.  
 80.000 მაყურებელი.

**მსაჯეები:** ს. ბელქოლა (მაროკო), მ. ვორენი (ინგლისი), ა. სალე (სამხრეთ აფრიკა).

**ბრაზილია:** ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო, სეზარ სამპაიო (ედმუნდო 75), რობერტო კარლოსი, დუნგა (კაპიტანი), რონალდო, რივალდო, ლუონარდო (დე ნილსენი 46), ბეპეტო.

**იტალია:** ბარტეზი, ლიზარაზუ, ჯორკაფეი (ვიერა 75), დესაი, დემამი (კაპიტანი), გივარში (დიუკარი 66), ზიდანი, ტურამი, პეტო, ლეპეფი, კარმეზუ (ბოგოსიანი).

**ბომბარდირები**  
 დავორ შუკერი (ხორვატია) – 6 ბურთი;  
 კრისტინ ვიერი (იტალია) – 5 ბურთი;  
 გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) – 5 ბურთი;

**ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები**  
**მეკარეები:** ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი), ხოსე ლუის ჩილავერი (პარაგვაი).

**მცველები:** ფრანკ დე ბური (პოლანდია), მარსელ დესაი, ლილიამ ტურამი (ორივე საფრანგეთი), კარლოს გამარა (პარაგვაი), რობერტო კარლოსი (ბრაზილია).

**ნახევარმცველები:** ედგარ დავიდსი (პოლანდია), დუნგა, რივალდო (ორივე ბრაზილია), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი).

**თავდასხმელები:** დენის ბურკაძე (პოლანდია), ბრაიან ლაუდრუპი (დანია), რონალდო (ბრაზილია), დავორ შუკერი (ხორვატია).

მესამე ჯგუფში შედარებით ძლიერად პოლანდიისა და მექსიკის ნაკრებები გამოიყურებოდნენ და ფინალის საგზურზე მათ მოიპოვეს.

მექსიკე ჯგუფში არანაირი პრობლემა არ შექმნიათ გერმანიისა და იუგოსლავიის გუნდებს, რომლებიც თავიდანვე ფავორიტებად მოიხარებოდნენ. აქ ლირე-ესანიშნავი მხოლოდ ის იყო, რომ ირანსა და აშშ-ს შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე ირანელმა ფეხბურთელებმა შესაშური მონდომება გამოავლინეს და ამერიკელები დაამარცხეს, თუმცა ორივენი ფინალს მიღმა დარჩნენ.

მეშვიდე ჯგუფიდან ფინალისტები გახდნენ რუმინეთისა და ინგლისის გუნდები. ინგლისელებმა ჯგუფიდან მხოლოდ იმის წყალობით გააღწიეს, რომ რის ვაი-ვაგლახით დაამარცხეს კოლუმბიის გუნდი.

ყველაფერი თავიდანვე იყო გარკვეული მერვე ჯგუფშიც, სადაც ლიდერებად არგენტინისა

და ხორვატიის გუნდები მიიჩნეოდნენ.

მეჩვიდმედიანი მატჩები საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა. არგენტინელებმა მხოლოდ პენალტების სერიით სძლიეს ინგლისელებს (4:3). ფრანგებმა მხოლოდ დამატებით დროში მოუგეს პარაგვაელებს. მინიმალური სხვაობით მოუგო პოლანდიამ იუგოსლავიას, ხორვატიამ კი რუმინეთს. შედარებით იოლად დაამარცხეს მეტოქეები ბრაზილიელებმა (ჩილე – 4:1) და დანიელებმა (ნიგერია – 4:1).

უფრო დაძაბა მდგომარეობა მეოთხედფინალში. ფრანგებმა მთელი ძალები დააბავით, მხოლოდ პენალტების სერიით სძლიეს იტალიელებს. სენსაციური იყო ხორვატიის ნაკრების დამაჯერებელი გამარჯვება გერმანიასთან (3:0), ბრაზილიელებმა დაამარცხეს დანიელები (3:2), პოლანდიელებმა კი არგენტინელები დაჯანსაღეს (2:1).

არანაკლებ დაძაბული გახლდათ ნახევარფინალის მატჩები, რომელიც ბრაზილიელებმა

პოლანდიელებს პენალტების სერიით მოუგეს მხოლოდ მათი მეკარის კლაუდიო ტაფარელის განუმეორებელი ოსტატობის წყალობით. ფრანგებმა დიდი შრომის ფასად მოახერხეს ხორვატთა დამარცხება (2:1).

იგივე ანგარიშით დაამარცხეს მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში ხორვატებმა პოლანდიელები და ბრინჯაოს მედლებს დაუფლნენ.

ფინალური მატჩი ნამდვილ ზეიმად იქცა ფრანგებისათვის. თავისი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა ბრაზილიელებმა რონალდომ, რომელიც მატჩის დღეს თავს შეუძლოდ გრძნობდა. თამაშის ბედი ჯერ კიდევ მატჩის პირველ ნახევარში გადაწყდა ზიდანის ბრწყინვალე თამაშის წყალობით. მან ორი გოლი გაიტანა. მესამე ბურთი ბრაზილიელთა კარში თამაშის დასასრულს გავიდა.

ფრანგები პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.

**გიორგი ჯალაღანია**

## იპორო

არქეოლოგები სამი წელიწადი მუშაობდნენ ხევსურეთის სოფელში. მიწები კუთხე გაიცივნეს, მოსახლეობის ჭირ-გარამს იზიარებდნენ. ერთხელ სოფელში მხცოვანი კაცი გარდაიცვალა. არქეოლოგები პანაშევიდზე მივიდნენ. ცოლმა ისინი რომ დაინახა, ქმარს დაატერა:

– ადრე მოუვიდათ მოსვლა, თორღვაუ! ჯერ ხომ არ დამიმარხინხარ...

მამაკაცი ნათელმხილველთან მიდის და ეკითხება:

– შეგიძლიათ საშინელი ჯადოს მოხსნა?

– დიახ. იცით რა სახის ჯადოა და ვინ გაგიკეთათ? – ეკითხება ნათელმხილველი.

– ერთი ალკაჯი იყო ამ 30 წლის წინ, რომელმაც შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: "დღეიდან თქვენ ცოლქმრად გაცხადებთ..."

ინდიელთა ბელადმა ტურისტების გამცილებლად დაიწყო მუშაობა. ერთ-ერთი საჩვენებელი ნადირობისას ბელადმა ყური მიწას დაადო და ცოტა ხნის შემდეგ ამოიპოვა:

– სადღაც ახლოს ბიზონები არიან.

– საიდან იცით? – უკვირთ ტურისტებს.

– ვერ ხედავთ? ყური ბიზონის თბილი ნეხვით მაქვს მოსვრდილი...

ორი დაქალი საზურობს:

– შენს ქმარს თქვენი ქორწინების თარიღი თუ ახსოვს? – ეკითხება ერთი მეორეს.

– საბედნიეროდ, არა, – პასუხობს მეორე.

– რატომ, საბედნიეროდ?

– ამ თარიღს წელიწადში რამდენჯერმე ვახსენებ და ყოველთვის საჩუქარს ვიღებ.

## სიგმრების ასსნა დანიულ წინასწარმეტყველის მიერ

**ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას "ეგრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიგმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.**

**ბუკის ხმა თუ გაიგო** – ავი და საზიანო რამე გაიგონო;

**ბროლი რაიმე ნახო** – დიდი სიხარული, ანუ ბედნიერება მოგეცეს;

**ბამბა** – კარგია და მადლიან საქმეს აასრულე;

**ბამბა დათესილი ნახო** – მადლიან საქმეს აასრულე;

**ბრინჯის ნახვა** – სიმართლეა და მეტისმეტად კეთილი ამბავია;

**ბრინჯის ჭამა** – ავადმყოფობის ნიშანია;

**ბრწყინვალე ვარსკვლავი ანუ, რომელიმე პლანეტა ნახო** – კარგი ნიშანია;

**ბაყაყის ნახვა** – ნიშანია ერთგული ამხანაგისა ანუ მეზობლობისა;

**ბაყაყის მოკვლა** – ცუდი ავდრებისა და წვიმების ნიშანია;

**ბუს ნახვა** – საბაველი კაცისა და ცუდი საქციელის ნიშანია;

**ბანეი ნახო** – სიმდიდრეა და სიხარულის ნიშანია;

**ბერიკაცი თუ ნახო მკვდარი** – შენ დიდხანს იცოცხლებ;

**ბატკანი ნახო** – შემატებისა და ფართო ცხოვრების ნიშანია.

## ქიმიკოსებმა დელაინაზე სისოხლის ბაჩინის ახალი ახსნა გამოჩხრიკეს

დელამიწაზე სიცოცხლისათვის დასაბამის მიმცემი პირველი ბიოლოგიური მოლეკულები მილიარდობით წლის წინათ გაჩნდა. თანამედროვე ბიოლოგიური მოლეკულები, რომლებიც შთამომავლობას მემკვიდრეობით ინფორმაციას გადასცემენ (დნმ, რნმ), ცოცხალ ორგანიზმებში ფერმენტების ზემოქმედებით სინთეზირდება, შორეულ წარსულში კი ისინი სპონტანურად, არსებული გარემოცვის ბუნებრივ პირობებში ქიმიური გზით უნდა ჩამოყალიბებულიყო. ითვლება, რომ პირველი ასეთი მოლეკულა რიბონუკლეინმჟავა (რნმ) იყო, მაგრამ როგორ გაჩნდა ის თავისთავად ბუნებაში, დღემდე არააინ იცოდა. რნმ ჯაჭვისებური მოლეკულაა, რომელიც ერთმანეთზე გადაბმული ნუკლეოტიდებისაგან შედგება. თავად ნუკლეოტიდებიც სამი ნაწილისაგან შედგება და მეცნიერები ძალიან დიდი ხნის მანძილზე თვლიდნენ, რომ თავის დროზე სწორედ ამ ნაწილების გაერთიანებით შეიქმნა რიბონუკლეინმჟავას ჯაჭვი. თუმცა, ბუნებრივ პირობებში ასეთი გაერთიანება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რაც მეცნიერებს დღემდე ჩიხში ამწვედევდა. პრობლემა დიდი ბრიტანეთის მანჩესტერის უნივერსიტეტის მეცნიერმა ჯონ საზერლენდმა გადაჭრა – დამატკიცა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი გაერთიანება ბუნებრივ პირობებშიც შესაძლებელია, თუ კატალიზატორის ფუნქციას თავად მოლეკულის ერთ-ერთი ნაწილი ასრულებს. ასეთი ნაწილი კი ფოსფორი აღმოჩნდა.

## ყაზახეთში სიღან ამოუხნოვი მფრინავი ობიექტები სწივს

როგორც თვითმხილველები ირწმუნებიან, ყაზახეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე დასახლებაში ამ რამდენიმე დღის წინათ, დამის სამ საათზე, ცაზე ორი მანათობელი ბურთი გამოჩნდა. ბურთები დელამიწისკენ მოიწვედა და თან წითელ, ყვითელ და მწვანე ნაპერწკლებს აფრქვევდა. უკვე მიწაზე დავარდნის შემდეგაც მათთან მიკარება ვერაინ შეძლო, ვიდრე სამოციოდე სანტიმეტრის დიამეტრის მქონე გაგარვარებული ბურთები საბოლოოდ არ გაგრილდა. ამის შემდეგ კი იჯერეს გული ცნობისმოყვარეებმა, რა აღარ მოიმოქმედეს, მაგრამ უცნაურ მრგვალ სხეულებს ბზარც კი ვერ გაუჩინეს, მხოლოდ ნაპერწკლები გააყრვეინეს კიდევ რამდენჯერმე.

ყაზახეთში ასეთი უცნაური მოვლენებით ძნელად თუ გააკვირვებთ ვინმეს. 5 იანვარს პოლიციის ერთ-ერთმა მადლჩინოსანმა საკუთარი თვალთ იხილა, თუ როგორ ჩაეშვა მდინარეში ამოუცნობი მფრინავი ობიექტი, მაშინვე აცნობა განსაკუთრებული სიტუაციების სამსახურსაც, მაგრამ, როგორც სამაშველო სამსახური ირწმუნებოდა, მინიშნულ დროს მინიშნულ მდინარეზე იღო ნახევარი მეტრის სისქის ყინული, რომელსაც გ-ტონიანი სიმძიმის გაძლება შეუძლია. მაგრამ პოლიციელს არაფერი მოლანდებია, ამოუცნობმა მფრინავმა ობიექტმა ამ ყინულზე 15 კვადრატული მეტრის ფართობის ხერხელი დატოვა.

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი:  <b>თბილისი, მესამე ნადიკვარის №11</b>  <b>სარეგ. №01018002930</b></p>	<p>მთავარი რედაქტორი: <b>როლანდ ჯალაღანია</b>          მთ. რედაქტორის მოადგილე: <b>ლავით ქობალაია</b>          ტექნიკური რედაქტორი: <b>მისხილ ჩოლოჩიშვილი</b></p>	<p>anaklia@web.de          e-mail:elisabetthal@yahoo.de  <b>ჩაქალაქის განთავსება</b>  <b>899-57-33-22</b>  <b>72-37-35</b>  <b>38-41-97</b></p>
---	--	---	---